სისტემატიურ-განყოფილების
კომპლექტი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: წონპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—30.

დღიური

- ბელგია ჩქარა იცნობს საბჭოთა მთავრობას.
- საბჭოთა საელჩოს პირველ მდივნათ პარიზში ამხ. ტიხმენევი დაინიშნა.
- 25 ივნისს ლენინგრადს ესტუმრებიან იტალიის კრეისერები.
- ავსტრალიაში მთავრობის შედგენა მუშათა პარტიის ლიდერს ლანგს მიენდო.
- მაროკოში აჯანყებულები შეტევაზე გადავიდენ.
- მორგანის ბანკი სესხს აძლევს ბელგიის მთავრობას.

შაბათი, 13 ივნისი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 133 (1288)

საერთაშორისო მდგომარეობისათვის

ჩინეთის ამბები ფართოვდება და სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს.

აბა რას იფიქრებდენ იმპერიალისტები, რომ შანხაის ფაბრიკა-ქარხნების გაფიცულ მუშების წინააღმდეგ რეპრესიულ ზომების მიღება და ზოგი მათგანის დახვრეტაც კი გამოიწვევდა ჩინეთის ოთხასი მილიონი ხალხის დღემდე გაუგონარ აღშფოთებას და საბაბად გახდებოდა გრანდიოზულ ნაციონალურ-განმანთავისუფლებელ მოძრაობისა შორეულ აღმოსავლეთის ამ უდიდეს ქვეყანაში.

მსოფლიო მძარცველები, რომელნიც ჩინეთში მოკალათდენ, სრულ ბატონ პატრონებად გრძნობდენ თავს და ადგილობრივ მკვიდრთ უყურებდენ როგორც ნამდვილ მონებს, ხანგრძლივ დროის განმავლობაში ფეხქვეშ თელავდენ მათ ელემენტალურ უფლებებს და ინტერესებს. ჩინეთის მოსახლეობაც თითქმის უსიტყვოდ იტანდა ამ ავაზაკების ძალმომრეობას. და უცხოელ კაპიტალისტებს ეგონათ, რომ „ქვეყნიერებაზე არაფერი შეცვლილა" და მათ წინანდებურად შეუძლიათ დაუსჯელად სჯიჯგნონ ჩინეთის ხალხის სხეული.

მაგრამ მდგომარეობა დღეს სულ სხვაგვარია, ვინემ წინედ. და ეს ყველაზე უფრო ნათელჰყო ჩინეთის ამბებმა. ჩინეთში ბოლო ხანებში იწყო განვითარება ნაციონალურმა მრეწველობამ. გაჩნდა მუშათა კლასი, რომლის რიცხვი უკვე 5—6 მილიონს აღწევს. წარმოიშვა ნაციონალ-დემოკრატიული ინტელიგენცია. ხალხში გაძლიერდა ეროვნულ-კლასობრივი შეგნება. მომზადდა ნიადაგი განმანთავისუფლებელ ბრძოლისათვის. ამ ნიადაგს უფრო აპოხიერებს უცხოელების მიერ ჩინეთის ხალხზე დადებული მონობის მძიმე უღელი.

ჩინეთის ხალხში მომხდარმა ასეთმა ცვლილებამ ჰპოვა გამოხატულება ეხლანდელ ამბებში. აღსანიშნავია ის, რომ ჩინეთის ხალხი დღეს გამოდის ერთიანი ფრონტით უცხოელ იმპერიალისტების წინააღმდეგ. ჩინელ ვაჭრებს და მრეწველებს უნდათ მოსპონ უცხოელ კაპიტალისტების ბატონობა და თვითონ დაიჭირონ მათი ადგილი. მუშათა კლასი სცდილობს მოიხსნას უცხოელების უღელი, რომ შემდეგ ადვილად გაუსწორდეს შინაურ მჩაგვრელებს. ჩინეთის მშრომელი მასსა ილტვის აღადგინოს თავის ქვეყნის სუვერენიტეტი. ამ საქმეში მასთანაა სტუდენტობა და მოწინავე ინტელიგენცია. როგორადაც არ უნდა იყოს, ჩინეთის ხალხის ერთიანი ფრონტი უცხო იმპერიალისტების წინააღმდეგ უაღრესად დადებითი მოვლენაა, რამდენადაც იგი ასუსტებს მსოფლიო იმპერიალიზმს და ხელს უწყობს ჩინეთის განთავისუფლებას.

მაგრამ მეორე მხრივ არც იმპერიალისტები გამოდიან დაქსაქსულად. ისინი მოქმედებენ ერთსულოვნად. ამერიკაც კი, რომელსაც ჩინეთში აქვს ინგლის-იაპონიის საწინააღმდეგო ინტერესები და რომელიც პირველ დღეებში თითქო უბრალო მაყურებელი რჩებოდა ჩინეთში დატრიალებულ ამბების,—ბოლო დროს მიემხრო მათ და სამხედრო ოპერაციებს, აგრეთვე დიპლომატიურ გამოსვლებს ერთად ახდენენ. იმპერიალისტებმა დროებით დაივიწყეს მათ შორის არსებული წინააღმდეგობანი, რადგან მათ წინაშე აღმართა საფრთხე, რომ შესაძლებელია სულ დაჰკარგონ ყველაფერი და გასაყოფი და სადაო არაფერი დარჩეთ ჩინეთში.

აქ აღსანიშნავია, რომ ჩინეთის ხალხი მარტო არ არის ამ ბრძოლაში. არაფერს ვიტყვით საბჭოთა კავშირის მშრომელ მასსებზე, რომელთა მხურვალე თანაგრძნობა მის მხარეზეა. ეს ბუნებრივია და გასაგები. დაჩაგრულ ხალხთა განთავისუფლება—ეს ჩვენი მიზანია, ამასთან მათი ბრძოლა იმპერიალისტების წინააღმდეგ საწინდარია საბჭოთა კავშირის განმტკიცების.

აქ უფრო საგულისხმოა, რომ ჩინეთის მებრძოლ ხალხს გამოეხმაურა ევროპის პროლეტარიატიც. ინგლისში, მაგ., დაიწყო ფართე კამპანია იმპერიალისტების პოლიტიკის წინააღმდეგ ჩინეთში და საერთოდ დამონებულ ქვეყნებში.

ცხადია, რაც დრო გადის სულ უფრო მტკიცდება მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობა. დღეს არ შეიძლება 1914 წლის ისტორიის განმეორება, როცა იმპერიალისტებმა შესძლეს ერთი ქვეყნის მშრომელი მასსის მისევა მეორისაზე. პროლეტარიატი იჩენს ცხოველ ინტერესს საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებისადმი და ეს უეჭველად უდიდეს მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

იმპერიალიზმი შეტევას აწარმოებს არა მარტო ჩინეთში, არამედ ყველგან, კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში. მოვიგონოთ მაროკოს ამბები. მილიონ ნახევარი რიფების ტომი თავგანწირვით ებრძვის დამპყრობელ საფრანგეთს, რომელმაც აქ არა ერთი და ორი დამარცხება უკვე განიცადა.

არც თვით ევროპაშია მკვიდრი მდგომარეობა. ბალკანეთში კლასობრივი ბრძოლა უაღრესად გამწვავებულია. აქ თეთრი ტერორი მუსრს ავლებს მშრომელთ.

ცალკე აღსანიშნავია „მოკავშირეთა" დამოკიდებულება გერმანიასთან. როგორც მკითხველებმა უკვე იციან, ამ დღეებში მოხდა შეთანხმება ინგლის-საფრანგეთ შორის ე. წ. საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ. ამ შეთანხმებაში გერმანიის ინტერესები ფეხქვეშაა გათელილი და იგი ატარებს ახალი ომის შესაძლებლობას.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაცია, რომელიც ეს ერთი ხანია შესამჩნევი გახდა, დროებითი და მერყევი ხასიათისაა. ეს სტაბილიზაცია გულისხმობს დაჩაგრულ ხალხების უფრო დამონებას და მათგან მეტი სიმდიდრის ამოწურვას, თვით ევროპის მუშათა კლასის უსაზღვრო ექსპლოატაციას; აგრეთვე წინააღმდეგობათა გაღრმავებას ცალკე კაპიტალისტურ ჯგუფებ შორის. ჯერ უკვე დოუესის გეგმის წყალობით მიღწეულმა გერმანიის მეურნეობის დროებითმა და ნაწილობრივმა აღორძინებამ დიდი შიში გამოიწვია ინგლისსა და საფრანგეთში, ვინაიდან მათ [illegible] გაუჩნდა გერმანიის სახით მძლავრი მოქიშპე მსოფლიო ბაზარზე.

კაპიტალიზმის სტაბილიზაციას ადრე თუ გვიან მოჰყვება ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გაძლიერება დაჩაგრულ ქვეყნებში, ევროპის მუშათა კლასში რევოლიუციონურ განწყობილების კვლავ ზრდა, კონფლიქტები ცალკე სახელმწიფოებ შორის. ამის ნიშნები დღესაც საკმაოდ სჩანს. კაპიტალიზმის ხანგრძლივად განმტკიცება შეუძლებელია. დღეს ჩვენ უკვე მოწმენი ვართ ამ სტაბილიზაციის აღსასრულის დასაწყისის.

პარტიის ზრდის გზები

1924 წელში რ. კ. პ. წევრების და კანდიდატების რიცხვი 446.089-დან გაიზარდა 741.117 კაცამდე. ე. ი. ერთნახევარჯერ. 1925 წლის პირველი სამი თვის განმავლობაში პარტიას მიემატა კიდევ 100 ათასზე მეტი კომუნისტი. რ. კ. პ. სწრაფი ზრდა განუწყვეტლივ გრძელდება.

მაგრამ, პარტიის სოციალური შემადგენლობის მოწესრიგება ეხლა განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ამხ. მოლოტოვმა მე-14 პარტიულ კონფერენციაზე განაცხადა, რომ მთელი პარტიის 48 პროცენტს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ არმიის და უმაღლესი სასწავლებლების კომუნისტებს, შეადგენენ დაწესებულებების მუშაკები. მაშასადამე, მე-13 პარტიული ყრილობის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ იმ მუშების რიცხვი პარტიაში, რომლებიც წარმოებაში უშუალოთ არიან ჩაბმული, გადიდებული ყოფილიყო პარტიის მთელი შემადგენლობის 50 პროცენტამდე, ჯერ-ჯერობით არ არის გატარებული ცხოვრებაში.

მართალია, იმ კომუნისტების აბსოლიუტური რიცხვი, რომლებიც მუშები არიან თავისი სოციალური ჩამომავლობით, 1924 წელში 196.000-დან გაიზარდა 429.000-დე, ე. ი. ორჯერ უფრო მეტათ. მაგრამ სხვა კატეგორიებთან შედარებით მუშების რიცხვი პარტიაში გაიზარდა სულ 13,9 პროც. (44 პროც. 57,9 პროც.-დე).

ეჭვს გარეშეა, რომ მიმდინარე წლის ახალმა პარტიულმა გაწვევამ შესამჩნევათ გაადიდა ეს პროცენტი. საკმარისია ვსთქვათ, რომ ისეთ პროლეტარულ ორგანიზაციაში, როგორიც არის მოსკოვის ორგანიზაცია, 1925 წელში ხელახლა შევიდა 20.000 მუშა—თითქმის ყველა დაზგის მუშები.

დაზგის მუშებისათვის პარტიაში შესვლის გაადვილებასთან ერთად, საჭიროა მოგვარებული იქნეს სხვა კატეგორიების—გლეხების, მოსამსახურეების და ინტელიგენტების მიღებაც. უკანასკნელი ორი კატეგორიის შესახებ ჩვენ გვაქვს მე-14 კონფერენციის სავსებით დროული დირექტივა, რომ პარტიაში მოსამსახურეების და ინტელიგენტების მიღების დროს სასტიკათ დაცული იქნეს მე-13 ყრილობის სათანადო დადგენილება. საჭიროა არა მარტო დაცული იქნეს დაწესებული ფორმალური მოთხოვნილებები, არამედ აუცილებელია ნამდვილათ გამორკვეული იქნეს, შესძლებს თუ არა პარტიის ახალი წევრი ნამდვილი დახმარება გაუწიოს პარტიას და პროლეტარული დიქტატურის ორგანოებს. ამ გადაწყვეტილების განხორციელებამ უფრო ვიწრო ფარგლებში უნდა ჩააყენოს არამუშური ელემენტების მიღება პარტიაში.

პირიქით, უფრო ნაკლებ მკაცრი ხაზი უნდა იქნეს აღებული პარტიაში გლეხობის მიღების მიმართ. რადგან პარტიის სასოფლო ნაწილში მიმდინარე წლის დასაწყისში ითვლებოდა მხოლოდ 154.000 წევრი და კანდიდატი, რომელთაგან 100.000 კაცი ფაქტიურათ სხვადასხვა დაწესებულებების მოსამსახურეებია. გლეხი-კომუნისტები შეადგენენ მთელი პარტიის 25 პროც., მაგრამ მათ შორის სოფლის მეურნეობაში უშუალოთ მომუშავეები 1925 წლის იანვრისათვის შეადგენდნენ სულ 8 პროც. საშუალოთ თვითეულ სოფლის უჯრედში წევრთა 70—90 პროც. შეადგენენ თანამდებობის პირები—არჩეულები და არა-არჩეულები. უმეტეს შემთხვევებში—ეს მოსული ელემენტებია, რომლებიც ნაკლებ დაკავშირებული არიან სოფელთან და ამიტომ [illegible] აქვთ საკმაო ავტორიტეტი [illegible] თვალში.

[illegible] ჩვენი სოფლის [illegible] რიცხვი განუწყვეტლივ [illegible] ცირდებოდა—ნაწილობრივ მუშაკების ქალაქში წასვლის ხარჯზე, ნაწილობრივ კი—პარტიიდან არასასურველი ელემენტების წასვლის გამო. ქალაქიდან გაგზავნილ კომუნისტების მხოლოდ ნახევარი ნაწილი თუ რჩებოდა სოფლათ. ჩვენი გლეხური პოლიტიკის შეცვლამ და გლეხების გაძლიერებულათ მიღებამ პარტიაში გამოიწვია ის, რომ 1924 წლის ბოლოს სოფლის ორგანიზაციების წევრთა რიცხვი გაიზარდა 13 პროც., მაგრამ თითქმის ყველა ისინი მთლიანათ უნდებოდენ სამსახურს სოფლის დაწესებულებებში და ორგანიზაციებში. მეტათ მცირეა მოჯამაგირეების პროცენტიც სოფლის უჯრედებში: ისინი შეადგენენ ერთ პროც. პარტიის წევრთა შორის და 3 პროც. ცოტათი მეტს კანდიდატთა შორის. საერთოდ ეს მეტათ უმნიშვნელო ციფრია.

აქედან აშკარაა, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი გლეხთა და მოჯამაგირეთა რიცხვის გასადიდებლათ პარტიაში სოფლად. აი ამიტომ იყო სწორეთ, რომ მე-14 პარტიულმა კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება შემსუბუქებული იქნეს მოჯამაგირეების, მიწის მუშების და მუშათა და გლეხთა წრიდან გამოსულ წითელარმიელების მიღება პარტიაში. ამ კატეგორიებისათვის რეკომენდაციების მიმცემ პირთა რიცხვი შემცირებულია პარტიის 2 წევრამდე 3 წლის პარტიული სტაჟით. ამას გარდა კონფერენცია წინადადებას იძლევა გაგზავნილი იქნეს იმ ადგილებზე, სადაც არიან პარტიაში შესვლის მსურველი გლეხები, მაგრამ არ არიან რეკომენდაციის მიმცემი პირები, მუშაკები, რომლებიც უნდა გაეცნონ პარტიაში შესვლის მსურველებს და უნდა მისცენ მათ რეკომენდაციები. ამით პარტიის კარები ფართოდ იღება მიწის მუშებისათვის, რამაც უნდა გააძლიეროს კომუნისტური პარტიის გავლენა და მნიშვნელობა სოფლად და საშუალება უნდა მოგვცეს სრულად და სწორად განვახორციელოთ პარტიის ლოზუნგი „პირი ვიბრუნოთ სოფლისაკენ".

ხ. გ.

მუშათა კლასი ჩინეთის ხალხის მხარეზეა

ინგლისელი მუშები ილაშქრებენ მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ ჩინეთში

პერსელის განცხადება: ინდოეთის ხალხმა უნდა მიბაძოს ჩინეთის მაგალითს

პეკინის მოსახლეობის პროტესტი იმპერიალისტების თარეშის წინააღმდეგ

50.000 მანეთი გაფიცულ ჩინელ მუშებს საბჭოთა კავშირის პროფკავშირებისაგან.—მუშათა მიტინგმა ლონდონში მოითხოვა ინგლისის ჯარების გამოყვანა ჩინეთიდან.—ამ რეზოლიუციას უერთდებიან სამხრეთ-უელსის მუშათა ორგანიზაციები.—10 ივნისს პეკინში გამართულ მიტინგში 100.000 კაცმა მიიღო მონაწილეობა.—საყოველთაო გაფიცვა შანხაიში გრძელდება.—შანხაის ნავთსადგურში მოდის ახალი სამხედრო გემები.—ჩინელი მეზღვაურები მოუწოდებენ ხალხს ბრძოლისაკენ იმპერიალისტურ მონობიდან სრულ განთავისუფლებამდი.

ინდოეთმა უნდა მიბაძოს ჩინეთის მაგალითს

ინგლისის მუშების დემონსტრაცია

ლონდონი, 11 ივნისი. დამოუკიდებელმა მუშათა პარტიამ მოაწყო დემონსტრაცია, რომლის ლოზუნგი იყო: „ხელები შორს ჩინეთისაგან". დემონსტრაციამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს ინგლისის ჯარების გაყვანას ჩინეთიდან და ჩინეთისათვის სრული თვითგამორკვევის უფლების მინიჭებას.

დემონსტრაციაზე სიტყვა წარმოსთქვა პერსელმა, რომელმაც განაცხადა, რომ ჩინეთის მშრომელთა აჯანყებას აუცილებლად უნდა მივესალმოთ. პერსელმა იმედი გამოსთქვა, რომ ინდოეთი მალე მიჰბაძავს ჩინეთის მაგალითს, რადგან ინგლისის იმპერიალიზმის უღელი ორივე ქვეყანაში თანაბრად აუტანელია.

სამხრეთ უელსის მუშათა ორგანიზაციები თანაგრძნობას უცხადებენ ინგლისის მუშების მოძრაობას ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ჩინეთში. ისინი შეუერთდენ რეზოლიუციას, რომელიც მიიღო დემონსტრაციამ.

ერთ-ერთი ტრიბუნა გადაიქცა ღია სცენათ, რომელზედაც სტუდენტებმა გამართეს წარმოდგენა, რომელშიაც აჩვენეს შანხაის ამბების განვითარების მთელი სურათი.

„აჯანყდით და შესწირეთ თქვენი სიცოცხლე ჩინეთის განთავისუფლებას".

უდიდესი მღელვარება გამოიწვია შემდეგმა ინციდენტმა: ერთ-ერთმა ორატორმა—კოლეჯის მასწავლებელმა შენგ-ჩან-ფუმ თავის სიტყვის დასრულების შემდეგ მოიჭრა თითი და სისხლით დასწერა პლაკატზე შემდეგი სიტყვები: „თანამემამულენო! აჯანყდით და შესწირეთ თქვენი სიცოცხლე ჩინეთის განთავისუფლებას!" ორატორი დაუყოვნებლივ წაიყვანეს წითელი ჯვრის სანიტარებმა. მისი სისხლით დაწერილი პლაკატი აფრიალებული იქნა ხალხში.

კრების მოთხოვნილებანი.

სამწუხაროდ, დღის 3 საათზე, როდესაც მიტინგი გათავდა და უნდა გამართულიყო დემონსტრაცია, დაიწყო საშინელი წვიმა და წამოვიდა სეტყვა. ხალხი გაიფანტა. მაგრამ მიუხედავად ცუდი ამინდისა, დემონსტრანტების მასა გაემართა პეკინის მთავრობის მეთაურთან დუან-ძი-ჟუისთან, მისთვის კრების რეზოლიუციის გადასაცემად.

რეზოლიუცია, გარდა იმ მოთხოვნილებათა, რომელიც წამოყენებული იყო წინა კრებაზე, შეიცავდა კიდევ შემდეგ მოთხოვნილებებს:

უარის თქმა ინგლისელებისა და იაპონელებისათვის რისიმე მიყიდვაზე; ინგლისში და იაპონიაში ექსპორტის აკრძალვა; სანაოსნო საზოგადოებათა და ბანკებისათვის ბოიკოტის გამოცხადება; ინგლისის და იაპონიის გემებისათვის შინაურ წყლებში შესვლის აკრძალვა; უცხოეთის გაზეთებისათვის ბოიკოტის გამოცხადება; შანხაის უცხოელთა კვარტალიდან ყველა ჩინელების გადასახლება.

კრებამ დაადგინა აგრეთვე შეაგროვოს მილიონი დოლარი შანხაის გაფიცულთა სასარგებლოდ.

დემონსტრანტების რამდენიმე ჯგუფი შეეცადა დიპლომატიურ კვარტალში შესვლას, მაგრამ უკანასკნელის კარები სასწრაფოდ დაიხურა.

მიუხედავად ხალხის ძლიერი მღელვარებისა, არავითარ ექსცესებს ადგილი არ ჰქონია.

საბჭოთა კავშირის მუშები ეხმარებიან ჩინელ ძმებს

მოსკოვი, 12 ივნისი. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ გაგზავნა გაფიცულ ჩინელ მუშების და მოკლულთა ოჯახების სასარგებლოდ 50,000 მანეთი.

სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა პროფკავშირების ყველა ცენტრალურ კომიტეტებს მიიღონ ყოველივე ზომები ჩინელ მუშებისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

დიდი მიტინგი პეკინში

ერთიანი ფრონტით

პეკინი, 11 ივნისი. 10 ივნისს პეკინში გაიმართა დიდი მიტინგი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 100.000 მუშამ, სტუდენტმა და ვაჭარმა. 100-ზე მეტი საშუალო, უმაღლესი და პირველდაწყებითი სკოლა სხვა და სხვა საზოგადოებები, სავაჭრო პალატა, ვაჭართა და მუშათა ორგანიზაციების კავშირები დღის 1 საათზე გამოცხადდენ ტიენ-ანშენის სკვერში, სადაც აღმართული იყო 5 ტრიბუნა. დემონსტრანტებს შორის ირჩეოდენ რკინისგზელები, წყალსადენის მოსამსახურეები, ტრამვაის მუშები, სატელეფონო კომპანიები და „რიკშების" (მეეტლების) ჯგუფები, რომელთა დროშებზე ეწერა: „რიკშებს უყვართ თავისი სამშობლო".

პეკინის ქალაქის სამმართველოს წევრი, პროფესორი ლიშიძენი, რომელიც თავმჯდომარეობდა ცენტრალურ ტრიბუნაზე, მოუწოდებდა ინგლისის და იაპონიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნისაკენ. შემდეგ გამოვიდა „სირცხვილისაგან ჩინეთის განთავისუფლების საზოგადოების" წარმომადგენელი ლიძიანგი, რომელიც მოუწოდებდა შურისძიებისაკენ, მუშათა, სტუდენტთა და ვაჭართა გაერთიანებისაკენ ჩინეთის ქალთა მოძრაობასთან, ჩინეთის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ. შანხაიდან ჩამოსული სტუდენტთა დელეგატები აკეთებდენ მოხსენებას საგაფიცვო მოძრაობის მდგომარეობის შესახებ და მოუწოდებდენ ხალხს შემოწირულებათა შეკრებისაკენ. ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში გაფიცვა შეიძლება ჩაიშალოს.

ამხ. ზინოვიევი ჩინეთის ამბების შესახებ

მტაცებლობის გაშიშვლებული მაგალითი.

მოსკოვი. 12 ივნისი. 11 ივნისს მოსკოვში გაიმართა საპროტესტო მიტინგები შანხაიში ხალხის დახვრეტის წინააღმდეგ. საპროტესტო მიტინგზე, რომელიც შესდგა კავშირთა სახლში, გამოვიდა ზინოვიევი.

„ქვეყნიერების ზოგიერთ ნაწილში—სთქვა ზინოვიევმა—ხდება ამბები, რომლებიც უნდა განვიხილოთ როგორც რეპეტიცია იმ ამბების, რომლებიც უნდა გადაიშალოს ჩვენს თვალწინ მსოფლიო მასშტაბით. ერთ-ერთ ასეთ რეპეტიციას წარმოადგენს ომი მაროკოში. ერთის მხრით—დიდი სახელმწიფო, მეორე მხრით—პატარა ხალხი, რომელსაც უნდა დამოუკიდებლად ცხოვრება, რომელიც არავის არაფერს უშავებს და რომელიც მოითხოვს, რომ მასაც ნურავინ ნურაფერს დაუშავებს.

აქ ჩვენ გვაქვს მტაცებლობის გაშიშვლებული მეგალითი. მსოფლიო ომში ყველაზე უფრო დაზარალდა საფრანგეთი. და მიუხედავად ამისა, საფრანგეთის ბურჟუაზიის პირველი ცდისთანავე ააჟღარუნოს იარაღი, მენშევიკები მხარს უჭერენ ბურჟუაზიას. აქედან ზედმეტჯერ შეგვიძლია დავინახოთ, რომ ბურჟუაზია და სოციალ-დემოკრატია ერთ ბანაკს წარმოადგენენ. საფრანგეთის ამბებმა ჩვენ სულ სხვა დაგვანახვა. ჩვენ ვხედავთ, რომ თუ იმპერიალისტურ ომში იყო ერთი ლიბკნეხტი, მომავალ ომში იქნებიან ასობით ლიბკნეხტები. საფრანგეთის კომპარტიამ დაამტკიცა, რომ ის ღირსეული ნაწილია კომუნისტური ინტერნაციონალის.

ჩინეთს დაუდგა 1905 წელი.

შანხაის ამბები თუმცა თავისთავად გრანდიოზულია, მაგრამ მსოფლიო მასშტაბით ის ისევ პატარა რეპეტიციებია მომავალ გრანდიოზულ ამბების. ჩინეთის მუშათა კლასი, რომელსაც შეადგენს 5—6 მილიონი კაცი, აყენებს ამჟამად ისეთ მოთხოვნილებებს, როგორიც არის 8 საათის სამუშაო დღე ბავშვებისათვის და მცირე. წლოვანთათვის და დასვენება კვირაობით. ეს მოწმობს, თუ როგორ საშინელ პირობებს და წამებას იტანს ჩინეთის მუშათა კლასი. ის აყენებს ისეთ მოთხოვნილებებს, რომელთაც აყენებდა ინგლისის მუშათა კლასი 80 წლის წინად.

ამჟამად ერთმანეთს უერთდება მუშათა მოძრაობის და ნაციონალურ-განმანთავისუფლებელ მოძრაობის ნაკადი. ეს ნაკადი სულ უფრო და უფრო ძლიერად მოჰქუხს. თითქმის მთელი ჩინეთის ხალხი, გარდა რამოდენიმე ჩინელ გენერლებისა, მოითხოვს, რომ უცხოელმა იმპერიალისტებმა თავი გაანებონ ჩინეთის ხალხს და მოასვენონ ის. ამ ეროვნულ განმანთავისუფლებელ მოძრაობას სათავეში ჩაუდგება პროლეტარიატი. წინასწარმეტყველი არ უნდა იმის თქმას, რომ ჩინეთის მუშა ყოველივე ამის შემდეგ იგრძნობს, რომ საჭიროა შეიარაღება, რათა ანგარიში გაუსწოროს თავის დროზე მსოფლიო იმპერიალიზმის ნაძირალებს, რომლებიც სულს უხუთავენ ჩინეთის ხალხს.

ჩვენ დიდი სიამაყით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ შანხაის ამბების ხელმძღვანელობა სავსებით ეკუთვნის ჩინეთის ახალგაზრდა კომპარტიას და ჩინეთის ახალგაზრდობის კავშირს. შანხაის ამბების ცალ-ცალკე სცენები სავსებით წააგავს იმას, რაც მოხდა ჩვენში 1905 წელს.

მსოფლიო რევოლიუციის სიო.

ინგლისის პროფკავშირები ამჟამად ასრულებენ თავის პროლეტარულ მოვალეობას, ისინი პროტესტს აცხადებენ თავისი ქვეყნის ბურჟუაზიის საქციელის წინააღმდეგ ჩინეთში. ინგლისის პროფკავშირები ჩარტისტული მოძრაობის შემდეგ პირველად გამოდიან როგორც ინტერნაციონალისტები. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ევროპის მუშების საკმაოდ დიდ ნაწილს კიდევ არ ესმის ჩინეთის ამბების მნიშვნელობა.

ჩინეთიდან მოჰქრის მსოფლიო რევოლიუციის სიო. ახალ ომში მუშები სხვანაირად იქნებიან განწყობილი, ვიდრე 1914 წელს. ჩვენ მხარი უნდა დაუჭიროთ ჩინეთის რევოლიუციონერებს, რადგან 1925 წლის ამბები ჩინეთში და სხვა ქვეყნებში წარმოადგენენ გრანდიოზულ ამბების შესავალს. ჩვენს თვალწინ მწიფდება მსოფლიო რევოლიუცია".

ზინოვიევს გარდა სიტყვები წარმოსთქვეს კოლაროვმა, კატაიამამ, საფრანგეთის კომპარტიის ცეკას წევრმა სემარმა და სხვებმა. მქუხარე ტაშისცემით ერთხმად იქნა მიღებული საპროტესტო რეზოლიუცია შანხაიში მომხდარ ხალხის დახვრეტის და მაროკოს ომის წინააღმდეგ.

იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ

ინგლისის მუშათა პარტიის კამპანია

ლონდონი, 11 ივნისი დამოუკიდებელმა მუშათა პარტიამ წინადადება მისცა ყველა თავის განყოფილებებს მოაწყონ ამ კვირის ბოლოს საპროტესტო მიტინგები ჩინეთის კონფლიქტში ინგლისის ჯარების ჩარევის წინააღმდეგ.

პარტიამ დაგზავნა 2000 ორატორი ამ მიზნისათვის.

თვითმკვლელობა პროტესტის ნიშნად

პეკინი, 11 ივნისი. ერთმა ხანში შესულმა ჩინელმა შანხაიში თავი მოიკლა. მდინარეში გადავარდნის წინ მან დაიძახა: „გაუმარჯოს ჩინეთს, ძირს იმპერიალისტები!" დატოვებულ ანდერძში ის მიმართავს ჩინეთის ხალხს შემდეგი სიტყვებით: „ინგლისის და იაპონიის იმპერიალისტებმა უსინდისოთ დახვრიტეს თავისუფლებისათვის მებრძოლი ჩინელები. ჩინეთის დამონავების საზიზღარ საქმეში მათ დახმარებას უწევდენ ჩინელი მილიტარისტები. სიცოცხლე აუტანელი ხდება, როდესაც ხედავ, თუ როგორ დაუზოგავად სჩაგრავენ ჩინეთს უცხოელი ბანდიტები, რადგან არ შემეძლო მომეთმინა ასეთი სირცხვილი, და არ მქონდა საშუალება სამაგიერო გადამეხადა იმპერიალისტებისა და ჩინეთის მოღალატეებისათვის, ჩინეთის ხალხის დამონავების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნათ, მე გადავსწყვიტე თავის მოკვლა".

მდგომარეობა შანხაიში

პეკინი, 12 ივნისი. შანხაიში გრძელდება საყოველთაო გაფიცვა. საერთოთ ქალაქში სიწყნარეა. მხოლოდ მუშათა კვარტალები და რაიონები, რომელნიც უცხოელების კვარტალთან ახლოს მდებარეობენ, გავსებული არიან უცხოეთის პოლიციელებით, ჯარისკაცებით და მოხალისეებით.

ყოველ დღე მოდიან სამხედრო გემები უმთავრესად იაპონიის ჯარისკაცებით. ხელისუფლებამ, ეჭვი შეიტანა რა ხუნკანის პროვინციიდან ჩამოსულ 18 სტუდენტის სააგიტაციო მოქმედებაში, გაგზავნა პოლიციის ძლიერი რაზმი სტუდენტების დასაპატიმრებლად. ამასთანავე ბევრ დაპატიმრებულს სცემეს.

ჩინელ მეზღვაურთა მოწოდება

პეკინი, 12 ივნისი. ჩინეთის მეზღვაურთა კავშირმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც ნათქვამია: **„ინგლისის და იაპონიის იმპერიალისტები მხეცურად მოეპყრენ შეუიარაღებელ მუშებს და სტუდენტებს, რომელნიც პროტესტს აცხადებდენ იმპერიალისტების უღლის წინააღმდეგ საჭიროა მუშების, სტუდენტების და ვაჭრების ძალთა გაერთიანება და ბრძოლის დაწყება უცხოეთის მონობისაგან ჩინეთის განსათავისუფლებლად".**

სუნ-იატ-სენის ქვრივი ჩინეთის ამბების შესახებ

პეკინი, 11 ივნისი. სუნ-იატ-სენის ქვრივმა ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა; „შანხაის ამბები წარმოადგენს პირველ ეტაპს უცხოეთის ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაში. არ უნდა გვეშინოდეს იმისა, რომ ბოლშევიკობას დაგვწამებენ. **უნდა ვიბრძოლოთ თავისუფლებისათვის ყოველგვარი საშუალებით უთანასწორო ხელშეკრულებათა გაუქმებამდე.** ეს არის ერთად-ერთი გზა ჩინეთის განთავისუფლებისათვის უცხოელთა ჩაგვრისაგან."

იაპონია ხელს იბანს

პეკინი, 12 ივნისი. ინგლისური გაზეთი „ფარისტერნ ტაიმსი", რომელიც პეკინში გამოდის, იუწყება, რომ **იაპონიის წარმომადგენლებმა პეკინში ჩინეთის ხელისუფლებას განუცხადეს, რომ იაპონიას არა სურს რაიმე საერთო იქონიოს ინგლისთან შანხაის საქმეში.** გაზეთი აცხადებს, რომ, თუ საჭირო იქნება, იგი გამოაქვეყნებს იმათ სახელებს, ვინც მოლაპარაკებას აწარმოებდა.

გაზეთი აღშფოთებულია იაპონელების საქციელით და აცხადებს, რომ შანხაიში დაშვებული იყო შეცდომა და რომ დაცული იყო იაპონიის ინტერესები.

უკანასკნელი ცნობები

რა ხდება ჩინეთში?

ვაშინგტონი, 11 ივნისი. როგორც ფიქრობენ, სახელმწიფო დეპარტამენტის პასუხი პეკინის მთავრობის მოთხოვნაზე უცხოელთა ჯარების შანხაიდან გაყვანის შესახებ, გადადებულია დიპლომატიური კორპუსის მიერ გაგზავნილ საგამომძიებლო კომისიისაგან მოხსენების მიღებამდე.

შანხაიდან ამერიკის კონსული იუწყება: „საერთო მდგომარეობა მეტად გაუმჯობესდა, მაგრამ გაფიცვის მოძრაობა არა სწყდება. ამერიკელების სიცოცხლესა და ქონებას საფრთხე არ მოელის".

დაუჯერებელი ამბავია, მაგრამ ფაქტია

პეკინი, 11 ივნისი. შეიძლება ეს უცნაური მოვლენა იყოს, მაგრამ ჩინეთის ყველა მილიტარისტები სცდილობენ აჩვენონ ხალხს, რომ ისინიც მხარს უჭერენ საპროტესტო მოძრაობას და მოითხოვენ, რომ მთავრობამ მტკიცე პოზიცია დაიკავოს მოლაპარაკების დროს.

მუკდენის მილიტარისტულმა ჯგუფმა, რომელშიაც შედის აგრეთვე ჩჟან-ძო-ლინიც, გაუგზავნა დეპეშა დჟან-ცზი-ჯუის პროტესტის განცხადებით, მოითხოვს მასგან გადამჭრელ ნაბიჯებს და პირდება დახმარებას.

ჩინეთის გაზეთების ცნობით ჩჟან-ძო-ლინის შვილი, ჩჟან-ძუ-ლინი მივლინებული არის შანხაიში გასაგზავნ ბრიგადასთან.

იუწყება, რომ ფინ-იუ-სინი ამზადებს ჯარებს შანხაიში გასაგზავნად.

მოლაპარაკება აბდ-ელ-ქერიმთან

პარიზი, 11 ივნისი. „ლე ჟურნალის" მადრიდელი კორესპონდენტი იუწყება, რომ მზადება ესპანეთის ჯარების ალგუმისასში გადასასხმელად გადადებულია, რადგანაც მოლაპარაკებამ ესპანეთსა და აბდ-ელ-ქერიმს შორის ახალი ხასიათი მიიღო.

საფრანგეთ-ესპანეთის კონფერენცია

პარიზი, 11 ივნისი, საფრანგეთ-ესპანეთის მომავალი კონფერენციის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: ბრძოლა იარაღების კონტრაბანდით გატანის წინააღმდეგ, განხილვა და შესწორება საზღვრების საფრანგეთისა და ესპანეთის ზონისა მაროკოში, ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა ორივე მთავრობას შორის, გადასახლება „არასასურველ ელემენტებისა" და ესპანეთისა და საფრანგეთის თანამშრომლობის პირობების განხილვა.

ინგლისიც ბლოკადას უცხადებს რიფებს.

პარიზი, 11 ივნისი. „პტი ჟურნალის" ჟენეველი კორესპონდენტი იუწყება, რომ ინგლისიც შეუერთდება საფრანგეთსა და ესპანეთს და მონაწილეობას მიიღებს რიფების სანაპიროების ბლოკადის მოწყობაში.

განხეთქილება სოციალისტურ პარტიაში

პარიზი, 11 ივნისი. საფრანგეთის სოციალისტურ პარტიაში იზრდება ოპოზიციონური მოძრაობა პარტიის პარლამენტის ჯგუფის პოლიტიკის წინააღმდეგ.

ჩრდილო დეპარტამენტის სოციალისტთა ფედერაციამ თავის რეზოლიუციაში მოითხოვა, რომ პარლამენტის ჯგუფმა ზეგავლენა მოახდინოს მთავრობაზე მაროკოსთან სასწრაფოდ ზავის დადების მიზნით.

რეზოლიუცია მოითხოვს აგრეთვე, ბრძოლას კაიოს ფინანსიურ პროექტის წინააღმდეგ და საწინააღმდეგო პროექტის დაცვას, რომლითაც გათვალისწინებულია კაპიტალის დაბეგვრა.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ბელგია ჩქარა გვიცნობს

პარიზი. 11 ივნისი. ბრიუსელში გავრცელდა ხმები, რომ ბელგიის სოციალისტურ პარტიის დელეგაცია ივლისის დასაწყისში მიემგზავრება ლონდონში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელ რაკოვსკისთან მოსალაპარაკებლად იმ საკითხებზე, რომელიც დაკავშირებულია ბელგიის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობასთან.

საფრანგეთი

საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობის პირველი მდივანი.

მოსკოვი. 14 ივნ. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობის პირველ მდივნად საფრანგეთში დაინიშნა **ტიხმენევი.**

იტალია

იტალიის კრეისერების სტუმრობა

მოსკოვი, 12 ივნისი. მიღებულ ცნობების თანახმად, 25 ივნისს ლენინგრადს ეწვევა იტალიის სამი კრეისერი. იტალიის გემები ჩავლენ ლენინგრადში კოპენჰაგენიდან და დაჰყოფენ იქ დაახლოვებით 3 დღე.

ჩეხო-სლოვაკია

უკრაინის ფიზკულტურის წარმომადგენელთა მიწვევა

ხარკოვი, 12 ივნისი. ფიზკულტურის უმაღლესმა საბჭომ მიიღო მიპატიჟება გაგზავნოს ჩეხო სლოვაკიაში სასპორტო შეჯიბრებაზე უკრაინის საგიმნასტო კომანდა.

ომი მაროკოში

საფრანგეთ-ესპანეთის მოლაპარაკება

პარიზი, 11 ივნისი. საფრანგეთ-ესპანეთის მოლაპარაკება მაროკოს შესახებ, რომელიც უნდა დაწყებულიყო 16 ივნისს, გადაიდო რამოდენიმე დღით.

რიფების შეტევა გაძლიერდა

პარიზი, 11 ივნისი. ესპანეთის ოფიციალური ცნობით, მაროკოს ესპანეთის ზონაში რიფებმა გააძლიერეს იერიშები.

საპროტესტო მიტინგი მაროკოს ომის წინააღმდეგ

პარიზი, 11 ივნისი. მოქმედების კომიტეტმა მოაწყო პარიზში საპროტესტო მიტინგი მაროკოს ომის წინააღმდეგ. მიტინგზე გამოვიდენ კომუნისტები რენო, დორიო, ბულგარეთის მუშების წარმომადგენელი და საფრანგეთის ახალშენების ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენლები, რომლებმაც გაჰკიცხეს გალაშქრება მაროკოს წინააღმდეგ.

სასჯელი პროტესტისათვის

პეკინი, 11 ივნისი. საფრანგეთის კომუნისტები, რომელნიც დაპატიმრებული იყვნენ მაროკოს ომის წინააღმდეგ პროპაგანდის წარმოებისათვის, დაუყოვნებლივ გადაეცენ სასამართლოს. უმრავლესობას მისჯილი აქვს 2 თვით ციხეში დაპატიმრება.

გრძელდება მაროკოს ომის წინააღმდეგ დაწყებულ მოძრაობის მონაწილეთა დევნა, ჩხრეკა და დაპატიმრება.

ინგლისის პროფკავშირებში

ტრედ-იუნიონების კავშირის პროექტი

ლონდონი. 11 ივნისი. ყველა ტრედიუნიონებმა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კონფერენციაზე 4 ივნისს, აირჩიეს დელეგატები ქვე-კომისიაში, რომელმაც უნდა განიხილოს წინადადება ტრედიუნიონების კავშირის მოწყობის შესახებ. რკინისგზელების ფართო მასები განსაკუთრებით ხაზგასმით მოითხოვენ პროექტის განხორციელებას, რასაც რკინისგზელების ფედერაციის ლიდერები იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ.

რკინისგზელების ფედერაციის აღმასკომმა გამოაქვეყნა რეზოლიუცია, რომელიც მიღებულია 4 ივნისამდე და მხარს უჭერს კავშირის შექმნის იდეას. ამასთან ერთად რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ ტრედიუნიონების გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბოლო მოეღება გაუგებრობებს ცალკე ტრედიუნიონებს შორის.

(ეს შენიშვნა შეეხება ძველ კონფლიქტს რკინისგზელების ფედერაციასა და მემანქანეების და ცეცხლის გამჩაღებელთა კავშირს შორის).

მემარცხენე მუშათა წრეებში შიშს გამოსთქვამენ, რომ რკინისგზელთა ფედერაციის წარმომადგენლები შეეცდებიან ჩაშალონ კავშირის პროექტები ქვე-კომისიაში, რის საბაბად გამოიყენებენ ამ რეზოლიუციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიათურის შავი ქვის კონცესია

მოსკოვიდან მიღებულ ცნობის თანახმად, გუშინ ჭიათურის შავი ქვის საკონცესიო ხელშეკრულებას ხელი მოაწერა ორივე მხარემ.

ინგლისის თემთა პალატაში

ბალდვინის განცხადება

საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ.

ლონდონი, 11 ივნისი. თემთა პალატაში ბალდვინმა განაცხადა, რომ საკითხი ინგლის-საფრანგეთის საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ განხილული იქნება პარლამენტში მანამდე, სანამ დაიწყებოდეს მოსალოდნელი კამათი მოკავშირეებსა და გერმანიას შორის ხელშეკრულების პირობების შესახებ.

ახალშენთა სამინისტროს რეორგანიზაციის შესახებ.

შემდეგ ბალდვინმა განაცხადა, რომ იმ დომინიონებისაგან, რომელთაც აქვთ თვითმართველობა, შედგენილი იქნება სპეციალური სახელმწიფო დეპარტამენტი, ხოლო ახალშენები, რომლებიც არ სარგებლობენ თვითმმართველობით, და ქვეყნები, რომლებიც იმყოფებიან პროტექტორატი ქვეშ, დარჩებიან ახალშენთა სამინისტროს განკარგულებაში. მუშაობის გასაძლიერებლად ახალშენთა მინისტრს ამერის ეკავება ორივე პოსტი. ბალდვინის განცხადებით, მთავრობამ ეს ცვლილებები უკვე განიხილა დომინიონებთან ერთად.

ცანკოვის ბატონობის ორი წლის თავი

სისხლის ღვრით დაიწყო, სისხლის ღვრით აღინიშნა

ბრძოლა სოფიის ქუჩებში

ვენა, 11 ივნისი. სოფიიდან მიღებულ შეუმოწმებელ ცნობების მიხედვით 9 ივნისს სოფიის ქუჩებში სწარმოებდა ბრძოლა. მოკლულია რამოდენიმე კაცი, მათ შორის სახალხო კრების ერთი დეპუტატი. დაჭრილია მრავალი. (9 ივნისს უნდა გამართულიყო დიდი სამხედრო ალლუმი ცანკოვის გაბატონების მეორე წლის თავის გამო, რის გამო მოსალოდნელიც იყო შეტაკებები).

სხვა და სხვა ამბები

— **საჰაერო მიმოსვლა ეგვიპტე-ინდოეთი.** ინგლისის მთავრობას განზრახვა აქვს მოაწყოს საჰაერო მიმოსვლა ეგვიპტესა და ინდოეთს შორის.

— **ნავთის წუმპეში.** რუმინეთის პარლამენტში დეპუტატმა მაჯიარემ განაცხადა, რომ ერთ-ერთი უდიდესი ნავთის საზოგადოება „სტეანა რომენა" არ ყოფილა ნაციონალიზაციაქმნილი, არამედ გადაეცა ფინანსისტთა ჯგუფს, რომელშიც შედიოდენ ინგლისელი და ფრანგი ბანკირები. ა ცნობების გამომჟღავნებამ დიდი არევ-დარევა გამოიწვია მთავრობის წრეებში.

— **მუშათა პარტიის გამარჯვება ავსტრალიაში.** ავსტრალიიდან მიღებული ცნობებით არჩევნების საბოლოო შედეგებმა მუშათა პარტიის პარლამენტში მისცა უმრავლესობა ორი ადგილით. პრემიერი ფოლლერი გადადგა. მთავრობის შედგენა დაევალა მუშათა პარტიის ლიდერს ლინგს.

— **კატორღაში.** ილრიევის (ლატვია) სამხედრო სასამართლომ 6 წლის კატორღა მიუსაჯა კომუნისტებს გეიდმანს და ბასსერს.

— **ესტონეთი იარაღდება.** ესტონეთის მთავრობამ ამერიკისა და ინგლისის სამხედრო ქარხნებს დიდძალი სამხედრო მასალა დაუკვეთა.

რა ხდება უცხოეთში.

ბრძოლა ინგლისის კაპიტალის წინააღმდეგ მექსიკაში

მრავალი წლის ბრძოლა მექსიკის მთავრობასთან ინგლისის კაპიტალის დამარცხებით დამთავრდა. გენერალ ხუერტას კონტრ-რევოლიუციონური აჯანყების შემდეგ (გენერალი ხუერტა ინგლისის კაპიტალს უჭერდა მხარს და მის მიერ დაწყებულ აჯანყებას ფინანსიურ დახმარების უწევდენ ინგლისის ნავთის მრეწველები), ინგლისის ყოველი ფეხის ნაბიჯზე მარცხდება მექსიკაში.

წარსულ წელს ობრეგონის მთავრობამ დიპლომატიური კავშირი გასწყვიტა ინგლისთან. მან მექსიკიდან გააძევა ინგლისის დიპლომატიური წარმომადგენელი, რომელსაც ბრალი დასდო კონტრ-რევოლიუციონური ჯგუფებისათვის მხარის დაჭერაში. მან გააძევა აგრეთვე ინგლისის ზოგიერთ წარმოებათა დირექტორები, რადგან „ისინი თავისი საქციელით ხელს უწყობდენ მუშათა გაფიცვებს და მღელვარებას". პრეზიდენტ ობრეგონის მთელი პოლიტიკა მტრული იყო ინგლისის კაპიტალისადმი იმ დროს, როცა ამერიკის კაპიტალი სრული თავისუფლებით სარგებლობდა.

მექსიკის ახალი პრეზიდენტი კაიესი განაგრძობს ობრეგონის პოლიტიკას. შრომის მინისტრი მორიონესი, რომელიც იმავე დროს შრომის რეფორმისტული ფედერაციის ლიდერიც არის, აშკარა თავდასხმას აწარმოებს ინგლისის წარმოებებზე.

ტრამვაის მოსამსახურეთა უკანასკნელი გაფიცვის დროს ქ. მექსიკაში (მექსიკის რესპუბლიკის სატახტო ქალაქია) ასეთი სურათის დანახვა შეიძლებოდა: პოლიცია ხელს უშლიდა შტრეიკბრეხერებს გაფიცვის ჩაშლაში. ეს აიხსნება იმით, რომ ტრამვაი ინგლისელებს ეკუთვნის.

ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვასთან ერთად იფეთქა გაფიცვამ ელექტრონის სადგურებში, რომლებიც აგრეთვე ინგლისელ კაპიტალისტებს ეკუთვნის. ელექტრო-სადგურების მუშები არ შედიოდენ მექსიკის შრომის ფედერაციაში. მაგრამ შრომის მინისტრი მორონესი მივიდა გაფიცულთა კრებაზე და მოუწოდა მათ დაეწყოთ გაფიცვა და აღუთქვა მთავრობის და ფედერაციის დახმარება.

მექსიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა აარონ საენცმა მექსიკის მსხვილი ბურჟუაზიული გაზეთის „ელ ექსჩელზიორ"-ის რედაქტორთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მექსიკის მთავრობის არა აქვს განზრახული მიიღოს რაიმე ზომები ინგლისთან ურთიერთობის აღსადგენათ. საენცმა იმავე დროს ხაზი გაუსვა ამერიკასთან მეგობრული კავშირის დამყარებას.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

760 მილ. ფუთი ზედმეტი პური

მოსკოვი, 11 ივნისი. იმ ცნობების თანახმათ, რომლებიც აღნიშნავენ ნათესების მდგომარეობას 1-ლი ივნისისათვის, ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ მომავალი მოსავალი გამოიანგარიშა 3.650.000.000 ფუთის რაოდენობით. მიმდინარე წლის ზედმეტი რაოდენობა უდრის 760 მილიონ ფუთს.

გემების მშენებლობის პროგრამა

მოსკოვი, 11 ივნისი. განსაკუთრებულმა კომისიამ შეიმუშავა და დასამტკიცებლათ წარადგინა გემების მშენებლობის პროგრამა. პროგრამა შესრულებული იქნება სამი წლის განმავლობაში. განზრახულია აგებული იქნეს 207 გემი, რაც დაჯდება 191.762.000 მან. გემები აგებული იქნება საბჭოთა კავშირის ქარხნებში.

თავდასხმა პასუხისმგებელ საბჭოთა მუშაკზე

უსტიუგი, 12 ივნისი. თავს დაესხენ ჩრდილოეთ-დვინის საგუბერნიო აღმასკომის თავმჯდომარეს და საბჭოთა კავშირის ცაკის წევრს ვასენდინს, რომელიც მძიმედ დასჭრეს მხარში. თავდამსხმელები დაპატიმრებული არიან. სწარმოებს კვლევა-ძიება.

მოსკოვის გუბერნიის გლეხთა სახლი

მოსკოვი, 12 ივნისი. 11 ივნისს მოსკოვში ზეიმით გაიხსნა მოსკოვის გუბერნიის გლეხთა სახლი, რომელიც მოთავსებულია ყოფილ სასტუმრო „ერმიტაჟის" შენობაში. სახლი შიგნიდან მორთულია პლაკატებით და საბჭოთა ბელადების სურათებით. მთავარ შესავალში მოთავსებულია ცნობის მიმცემი მაგიდა, სადაც სოფლიდან ჩამოსულ გლეხებს მიეცემათ ყოველგვარი ცნობები; სახლის აგრონომიულ განყოფილებაში მოთავსებულია საუბნო აგრონომის კაბინეტი და სასოფლო-სამეურნეო მუზეუმი. მუზეუმის პავილიონების წინ გაშენებულია ბაღი, სადაც მოწყობილია სანიმუშო ბაღჩა, ხეხილის სანერგე და ყვავილების სანერგე. კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილებაში მოწყობილია ქოხი-სამკითხველო, დასასვენებელი ოთახი და ლენინის კუთხე.

უკრაინა

პოლონელ ჯაშუშების საქმე

ვინიცა, 11 ივნისი. კამენეც-პოდოლსკში გაირჩა საქმე პოლონელ ჯაშუშებისა, რომლებსაც მეთაურობდენ კონტრაბანდისტები კისელენკოვი და ბორიცკი. მეთაურებს მიუსაჯეს დახვრეტა, დანარჩენებს დაპატიმრება სხვადასხვა ვადით.

ამხ. კამენევი ხარკოვში

ხარკოვი, 12 ივნისი. ხარკოვში ჩამოვიდა ამხ. კამენევი.

საკავშირო საავტომობილო შეჯიბრება

მოსკოვი. 12 ივნისი. სრულიად საკავშირო საავტომობილო შეჯიბრების მომწყობი კომიტეტი ათავებს მოსამზადებელ მუშაობას. გზის დასათვალიერებლათ გამგზავრებული კომიტეტი უკვე ჩავიდა თბილისში და ახლო მომავალში დაბრუნდება მოსკოვში. უცხოეთის ფირმები გაფაციცებით ემზადებიან შეჯიბრებისათვის. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად უკვე ჩაეწერენ ავსტრიის, იტალიის, ამერიკის, ჩეხოსლოვაკიის, საფრანგეთის და გერმანიის ფირმები.

ბრძოლა უმუშევრობასთან

მოსკოვი. 12 ივნისი. შრომის ბირჟების წარმომადგენელთა სრულიად საკავშირო თათბირზე ბისტრიცკიმ გააკეთა მოხსენება უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

ბისტრიცკი აღნიშნავს, რომ საზოგადოებრივი სამუშაოები, შრომის კოლექტივების მოწყობა, ფულადი დახმარება, სასადილოები, საჩაიები, სასწავლო სახელოსნოების მოწყობა,—ყველაფერი ეს წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას უმუშევრობასთან საბრძოლველად. საზოგადოებრივი სამუშაოებისათვის გადადებული თანხები ყოველწლიურად იზრდება. 1923 წელს გადადებული იყო 1 ნახევარი მილიონი მანეთი, 1924 წელს—4 მილიონი, მიმდინარე წელს კი 7 ნახევარი მილიონი მანეთი. წელს საზოგადოებრივი სამუშაოები ნავარაუდევია 50.000 კაცისათვის. უმუშევართა კოლექტივების რაოდენობაც იზრდება. 1922 წელს ასეთ კოლექტივებში გაერთიანებული იყო 15.000 უმუშევარი, 1923 წელს—21.000, 1924 წელს—58.000, ხოლო მიმდინარე წელს—8000.

შრომის კოლექტივებმა მეტოქეობა არ უნდა გაუწიონ კოოპერაციას და სახელმწიფო ვაჭრობას. კოლექტივების მაღაზიებში არ უნდა იყიდებოდეს სხვისი ნაწარმოები საქონელი და აგრეთვე დასაშვები არ არის ლუდხანების და საბილიარდოების მოწყობა.

ბოლოს ბისტრიცკი აღნიშნავს, რომ საჭიროა შინამრეწველობის განვითარება და საბჭოთა საზოგადოებრიობის ჩაბმა უმუშევართა დახმარების საქმეში. ბისტრიცკის მოხსენებამ გამოიწვია გაცხოველებული კამათი.

ინგლისელ მუშა-ქალთა დელეგაცია გროზნოში

გროზნო, 12 ივნისი. ინგლისის პროფკავშირთა ქალთა დელეგაციას აღფრთოვანებით შეხვდენ მუშები, მუშა-ქალები და პიონერები. ვაგონიდან გამოსვლის შემდეგ დელეგაციის თავმჯდომარე მარი კვეილი მიესალმა გროზნოს მუშებს და რუსულად წარმოსთქვა შემდეგი სიტყვები: „გაუმარჯოს მსოფლიო პროფესიონალურ მოძრაობის მთლიანობას"! სადგურის მოედანზე გაიმართა მიტინგი. დელეგაციას მიესალმენ გროზნოს მუშების და გლეხების წარმომადგენლები.

პარტიული ცხოვრება

საქსოვ, საპნის სახარშ, და ზეთის სახდელ ტრესტების კომუჯრედების მუშაობა

(მე-3 რაიკომი)

ამ კომუჯრედში ითვლება 114 წევრი და კანდიდატი. მათ შორის 14 ქალია. კომუჯრედის წევრთა შემადგენლობა ასეთია: მუშები 89, მოსამსახურე—25; კომუჯრედში „ლენინის გაწვევისა" არის 69. დიდ ყურადღებას აქცევს კომუჯრედი ლენინელებს შორის მუშაობის გაცხოველებას. კომუჯრედში არსებობს პოლიტწრეები, სადაც მეცადინეობა ნაყოფიერად სწარმოებს. უმრავლესობა ლენინელებისა არიან ჩაბმული სხვადასხვა კულტურულ მუშაობაში.

კომუჯრედი შესაფერ ყურადღებას აქცევს უპარტიო ამხანაგებს. ამ მიზნით ეწყობა ღია კრებები, სადაც უპარტიოები დიდი ხალისით ესწრებიან. მათ სურვილი აქვთ პარტიაში ჩარიცხვისა.

ქალთა შორის მუშაობა ძალიან გაცხოველებულია. ტრესტში არის 62 მომუშავე ქალი. მათ შორის 14 პარტიის წევრი და კანდიდატია, 7 ახკომკავშირელი. ქალთა ორგანიზაციის წევრები ესწრებიან კომუჯრედის მორიგ კრებებს. კომუჯრედი დიდ ყურადღებას აქცევს დიასახლისებს, უკანასკნელნი ესწრებიან ქალთა ორგანიზაციის კრებებს.

კომუჯრედს აქვს შეფობა აღებული სოფელზე. საშეფო მუშაობისათვის გამოყოფილია კომისია.

სამეურნეო ორგანიზაციის დახმარებით საშეფო სოფელში დაარსებულ იქნა კოოპერატივი. საშეფო სოფლის ბავშვებს გაეგზავნათ სასწავლო ნივთები. სოფელს ყოველთვის ეგზავნება წიგნები, გაზეთები და ჟურნალები.

კომუჯრედს კავშირი აქვს გაბმული სამხედრო ნაწილთან, პირველ ცხენოსან ლეგიონთან, დივიზიის პარტსკოლის ნაწილთან. თვეში ერთხელ იმართება გაერთიანებული კრება. სამხედრო ნაწილის კომუჯრედის მდივნები აკეთებენ მოხსენებებს. თავიანთ მუშაობის შესახებ.

პარტკორი აბაიშვილი.

ქ. სამტრედიის უჯრედში

28 მაისს შესდგა მორიგი კრება, რომელზედაც განსახილველი საკითხები იყო შემდეგი: 1. მოხსენება სასოფლ.-სამ. საზ. „წინსვლა"-ს მუშაობის შესახებ, 2. პარტ-მეცადინეობის შესახებ, 3. საშეფო გადასახადი და 4 სატრანსპორტო კავშირის შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ხვიჩია, საიდანაც ირკვევა, რომ საზოგადოებას მუშაობა დაუწყია სრულიად უთანხოდ და დღეს ასე თუ ისე კოოპ. ორგანიზაციის სახეს ატარებს. წარმოკავშირს მიუცია მისთვის ერთი რონოდა ღვინო და თავის ოპერაციებიც აქედან უწარმოებია: გაუხსნია სარდაფი, საწვრილმანო დუქანი, აძლევენ ავანსებს მებამბე გლეხებს, მოუწყვიათ დარჩენილ ხილის რეალიზაცია და სხვა.

მაგრამ კამათიდან ირკვევა, რომ ხილის ოპერაცია დეფექტიანი იყო, ბამბის ავანსების გაცემა უწესოდ სწარმოებდა და სასოფ.-სამ. კოოპერატივს უფლება არ ჰქონდა საწვრილმანო დუქანი გაეხსნა.

პარტიულ მეცადინეობის შესახებ მოხსენებიდან ირკვევა, რომ ეს საკითხი ვერ სდგას თავის სიმაღლეზე, რისთვისაც ყველა ამხანაგებს ევალებათ წესიერად იარონ კრებებზე.

საკითხს საშეფო გადასახადის შესახებ კრებას აცნობს ამხ. გიგინეიშვილი, საიდანაც ირკვევა, რომ არჩეული ყოფილა საშეფო კომისია, რომელსაც დაუწესებია აღნიშნული გადასახადი, რომლის მიზანია დახმარების გაწევა ღარიბ თემებზე.

კრებამ იმასთანავე დაადგინა: მიიღოს მონაწილეობა ჟურნალ-გაზეთების სოფლებისთვის მიწოდებაში და სხვა აღმშენებლობით საქმეებში.

რაც შეეხება სატრანსპორტო კავშირს, კრებაზე გამოირკვა, რომ ასეთი ოფიციალურად არ არსებულა. არსებობდა მხოლოდ არტელი მუშებისა, რომელიც უკვე დაიშალა და მუშები უპატრონოდ, ორგანიზაციულად შეუკავშირებელი დარჩენ.

ამის გამო უჯრედმა დაადგინა, რომ მიავლინოს მათში ისეთი ამხანაგი, რომელიც ჩამოაყალიბებს მათ მუშაობას და ორგანიზაციულ ხასიათს მისცემს. ასეთად არჩეულ იქნა ამხ. ხუტუა.

სან-კანი.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

ერწოს რაიონის კომკავშირელთა კრება (თბილ. მაზრა)

ა. წ. 7 ივნისს გაიხსნა საქ. ახ. კ. ლენინელთა კომკავშირის ერწოს რაიონული კრება, რომელსაც დაესწრენ თითქმის ყველა წევრები.

პირველი მოხსენება გააკეთა ამხ. ლეჟავამ—კ. პ. და კ. კ. ურთიერთდამოკიდებულების შესახებ და სოფლად მუშაობის ამოცანებზედ. კრება იმედს გამოსთქვამს, რომ პირნათლად შეასრულებს მითითებებს და დავალებებს როგორც კომპარტიის, ისე კომკავშირისა.

რაიკომის ანგარიში კრებამ სცნო დამაკმაყოფილებლად, ხოლო წარმოდგენილი მომავალი მუშაობის გეგმა კი დაამტკიცა. ამ გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ლიტერატურის უქონლობას, კლუბების ტეხნიკურად მოუწყობლობას და ფიზკულტურის საქმეს. რაიონული ორგანიზაცია იმედოვნებს, რომ თბილისის კომიტეტი სათანადო დახმარებას გაუწევს ერწოს რაიონს და პირველად ყოვლისა კი ამ დარგებში.

აქვეა აღნიშნული ნაკლი მიწატყის კავშირისა, რომელიც ახლად არის ჩამოყალიბებული და საჭიროებს ცენტრის დახმარებას.

რაიონის ორგანიზაცია კი შეეცდება აქამდის შემჩნეული ყოველი ნაკლი გამოასწოროს და მუშაობა გამოაცხოველოს.

ი. ჰინჭარაული.

მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების გამოკვლევის შესახებ

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატთან ამას წინათ დამთავრდა წინასწარი მუშაობა მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების გამოსაკვლევათ და ამ დღეებში დაიწყება ეს გამოკვლევა.

გამოკვლევას ჩაატარებენ ქალთა განყოფილებები თავისი ქალთა ორგანიზატორების სახით, ანკეტების დაგზავნის გზით. ანკეტები ეხება მშრომელ ქალთა ცხოვრების ყველა მხარეებს და ისინი ვრცელდება საქართველოს ყველა მშრომელ ქალებზე, რომელ დარგშიაც არ უნდა მუშაობდენ ისინი.

ანკეტებში ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საკითხებიდან არის შემდეგი საკითხები: შრომის დაცვის და სოციალური დაზღვევის, შრომის ხელფასის, პირადი ბიუჯეტის, საბინაო პირობების, მუშა-ქალთა საზოგადოებრივ და კულტურულ-განმანათლებელი ცხოვრების, დროის ბიუჯეტის და სხვა საკითხები.

თვითეული განყოფილება შეიცავს მთელ რიგ საკითხებს, რომლებიც ყოველის მხრივ აშუქებენ საქმის ამა თუ იმ მხარეს. ეს პირველი ცდაა ჩვენს რესპუბლიკაში და, შეიძლება; მთელს ამიერ-კავკასიაშიც ფართოთ შესწავლილი იქნეს მშრომელ ქალთა მდგომარეობა.

ყოველგვარი ზომები უნდა იქნეს მიღებული ამ გამოკვლევის წარმატებით ჩასატარებლათ კარგათ წარმოებული გამოკვლევა ჩვენ მოგვცემს ძვირფას მასალებს პრაქტიკულ ღონისძიებათა შესამუშავებლათ და მათ ცხოვრებაში გასატარებლათ.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ყველა წარმოებები და დაწესებულებები დახმარებას გაუწევენ ამ ამოცანის შესრულებას.

ნ. მახარაძე.

საგლეხო სესხის რეალიზაციისათვის

სესხის განაღდებისათვის ხელშემწყობი კომისიის სხდომა

12 ივნისს ა|წ. ფინსახკომის რწმუნებულის თანაშემწის საქართველოში კაბინეტში შესდგა რესპუბლიკანური კომისიის პირველი საორგანიზაციო სხდომა, განმეორებითი საგლეხო სესხის განაღდების შესახებ.

სხდომას დაესწრენ წარმომადგენლები: პარტიისა, პრესისა და სხვადასხვა სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებისა.

სამმართველოს სავალიუტო განყოფილების გამგემ ამხ. **ზ. პ. მიქელაძემ** გააკეთა მოხსენება. საგლეხო სესხის მნიშვნელობის შესახებ და მოუწოდა კომისიას მიიღოს ყველა ზომები სესხის ობლიგაციების ფართოდ გასავრცელებლად გლეხობაში.

მომხსენებლის სიტყვიდან გამოირკვა, რომ შარშან განაღდებულა საქართველოში 200.000 მანეთის ობლიგაციები, რომლიდანაც სასოფ.-სამ. გადასახადის გასტუმრების დროს შემოსულა 180.000 მანეთის.

წელს უკვე განზრახულია ობლიგაციების განაღდება 250.000 მანეთის რაოდენობით.

სხდომაზე დადგენილ იქნა, რომ ანალოგიური კომისიები მოეწყოს სამაზრო და სათემო აღმასკომებთან.

ამასთანავე დამსწრე წარმომადგენელთა დაწესებულებას დაევალათ ხელი შეუწყონ ობლიგაციების ფართო რეალიზაციას და ამაში დაეხმარონ ფინანსიურ ორგანოებს. მაგ. ფ.-ტელეგრაფმა უნდა აწარმოოს რეალიზაცია თავის განყოფილებებში ადგილებზე. ასევე კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა, სასოფ.-სამ. ბანკმა —საკრედიტო ამხანაგობების საშუალებით. შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატმა სამაზრო თემაღმასკომების საშუალებით და სხვა.

ქ.

ამიერ-კავკასია--აღმოსავლეთის სავაჭრო პალატაში

ოსმალეთის გენერალური კონსულის მოადგილე პალატაში

9 ივნისს ამიერ-კავკასია აღმოსავლეთ-სავაჭრო პალატას ესტუმრა ოსმალეთის გენერალური ელჩის მოადგილე თბილისში. მისი სტუმრობის მიზანი იყო გამორკვევა იმისა, თუ რამდენათ შესაძლებელია ა.კ.ს.ფ.ს.რ. და ოსმალეთის სავაჭრო ბრუნვის გადიდება, საგარეო ვაჭრობის ზოგიერთი უფლებრივი პირობების განსაზღვრა და გამორკვევა იმისა, შეუძლიათ თუ არა ოსმალეთის ვაჭრებს თავისი ექსპონატებით მონაწილეობა მიიღონ საექსპორტო-საიმპორტო საქონელის გამოფენაზე, რომელსაც აწყობს აღმოსავლეთ-სავაჭრო პალატა.

პალატის თავმჯდომარე ამხ. გამყრელიძესთან და გამგეობის წევრ ამხ. სტეპანიანთან ხანგრძლივი საუბარის შემდეგ გადაწყვეტილი იქნა ყველა მნიშვნელოვანი საკითხები; ამასთანავე ოსმალეთის გენერალური ელჩის მოადგილემ განაცხადა, რომ ექსპონატების გარდა გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ის სტატისტიკური მასალებიც, რომლებიც მათ შეეხება.

პალატაში დაინტერესებულ სამეურნეო ორგანოებთან ერთად გაიმართა თათბირი, რომელმაც განიხილა საკითხი საბჭოთა ასანთის და სილიკატური მრეწველობის პროდუქციის გავრცელების შესახებ დასავლეთ სპარსეთში და ოსმალეთის აღმოსავლეთ ოლქებში.

თათბირზე გამოირკვა, რომ სპარსეთის აზერბეიჯანის ბაზარზე შეიძლება 30 ვაგონ ასანთის გასაღება წლიწადში. ახალს ასანთს, რომელიც პირველათ იყიდებოდა ბაქოს ბაზრობაზე, მეტად დიდი ფასები აქვს სპარსეთში. ეხლანდელმა საბჭოთა ასანთმა მთლიანათ დაიპყრო სპარსეთის ბაზარი.

თათბირზე მოხდა შეთანხმება საფინანსო და სავაჭრო ორგანიზაციებს შორის ყველა იმ საკითხების შესახებ, რომლებიც ეხება ჩვენი ასანთის, სილიკატის და რეზინის პროდუქციის გატანას აღმოსავლეთის ქვეყნებში.

მონაწილეობა ნიჟეგოროდის ბაზრობაზე

ამ ჟამათ სწარმოებს მუშაობა იმის გამოსარკვევათ, თუ რა ფარგლებში მიიღებენ მონაწილეობას ამიერ-კავკასიის სამეურნეო ორგანოები ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე, რისთვისაც პალატამ სათანადო ორგანიზაციებს დაუგზავნა სპეციალური ანკეტები.

შარშან ამიერ-კავკასიის სამეურნეო ორგანიზაციების მონაწილეობას ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე არ ჰქონია ფართო ხასიათი. ახლო მომავალში საკითხი დაწვრილებით განხილული იქნება თათბირზე.

გლეხთა ცენტრალურ სახლში

გლეხთა ცენტრალურ სახლის მმართველობის ცნობებით, სახლის ფაქტიური გახსნის დღიდან (ა-წ. 25 თებერვალი) მის საერთო ბინაში და საიზოლიაციო პუნქტში გატარებული იქნა და მისი კულტურული დაწესებულებებით ისარგებლა 1.600 გლეხმა, რომლებიც ჩამოსული იყვენ საქართველოს სხვადასხვა მაზრებიდან.

გლეხთა საქმეების შესახებ ცენტრალურმა სახლმა ათასზე მეტი შუამდგომლობა აღძრა საქართველოს ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს, პროკურატურის, მთელ რიგ სახალხო კომისარიატების და თბილისის აღმასკომის წინაშე; განსაკუთრებით ხშირია მიმართვა მუშათა და გლეხთა ინსპექციაში ზოგიერთ ადგილობრივ მუშაკების მიერ რევოლიუციონური კანონიერების ამა თუ იმ დარღვევის შემთხვევების შესახებ, და აგრეთვე ჯანსახკომში იმის შესახებ, რომ ავადმყოფ გლეხებს გაეწიოს სათანადო საექიმო დახმარება.

გლეხთა ცენტრალური სახლი აგრეთვე მიწერ-მოწერას აწარმოებს სამაზრო აღმასკომებთან იმ საკითხების შესახებ, რომლებიც გლეხებს ეხება. ადგილებიდან მიღებულია გლეხების შეკითხვები.

გლეხთა ცენტრალურ სახლის მიერ აღძრულ შუამდგომლობებიდან დაკმაყოფილებულია არა ნაკლებ 95 პროც.

მიმდინარე თვის ბოლოს გლეხთა სახლთან გახსნილი იქნება გაფართოებული სასადილო 200 კაცისათვის.

სახლთან მოწყობილ კინოში უმთავრესად ნაჩვენები იქნება სასოფლო-სამეურნეო ფილმები. ამ კინოს მოწყობა იკისრა პოლიტიკური განათლების მთავარ მმართველობამ და საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ.

გლეხთა ცენტრალურ სახლთან მოწყობილი იქნება აგრეთვე სამხედრო კუთხე, საკლუბო განყოფილება და სანიტარული გამოფენა.

სახლის მმართველობა ფიქრობს სახლთან არსებულ სასოფლო-სამეურნეო მუზეუმის გაფართოვებას. მუზეუმის გაფართოვება მოხდება წარმოკავშირის დახმარებით. განზრახულია სახლთან გაიხსნას ლითონის ტრესტის საწყობი, სადაც მოთავსებული იქნება სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

გლეხთა სახლი აფართოვებს თავის ბიბლიოთეკას და ლენინის კუთხეს.

უახლოეს დღეებში გლეხთა სახლი გამოაქვეყნებს დაწვრილებითი ანგარიშს თავისი 3 თვის მუშაობის შესახებ.

ღვინის წარმოება დასავლეთ საქართველოში

ქუთაისის აღმასკომის კომუნალურმა განყოფილებამ გასული წლის აგვისტოში „გრუზგოსტორგ"-ს გადასცა პრინც ოლდენბურგისეული ღვინის სარდაფები, რომელნიც მთელ საქართველოში სანიმუშო სარდაფებად ითვლებიან. 1914 წლიდან მუშაობა ამ სარდაფებში შეწყდა. შარშან აგვისტოდან „გრუზგოსტორგ"-ი შეუდგა სარდაფების შეკეთებას და ინვენტარ-იარაღებით მოწყობას, რომელიც სასწრაფოდ დამთავრებული იქნა. სარდაფების შეკეთება და მოწყობა 20 ათას მანეთზე მეტი დაჯდა.

ეხლა სარდაფი გასუფთავებულია, გაყვანილია ელექტრონის სინათლე და კარგად მოწყობილ სადგურებზე ჩამწკრივებულია ღვინის ბოჭკები. სანწერი განყოფილება აღჭურვილია კარგად მომქმედი საჭირო აპარატებით. ასე რომ მომავალ ღვინის მოსავალს სარდაფი სავსებით მომარაგებული შეხვდება.

ამჟამად სარდაფებში ინახება 42 ათასი ფუთი სხვადასხვა ხარისხის ბუნებრივი და გამაგრებული ღვინოები.

სარდაფებში ხდება აგრეთვე ადგილობრივი ღვინოების კვალიფიკაცია და შერჩევა.

საუკეთესო შერჩეულ ღვინოდ უნდა ჩაითვალოს თეთრი ღვინოები: ცოლიკაური, ციცქა, კრახუნა და წითელი ღვინო: აფხანაური.

1924 წელს გლეხებისაგან შეძენილი ყურძნიდან მოწურული იქნა 30 ათასი ფუთი ღვინო.

ნაყიდი იქნა აგრეთვე გლეხებისაგან ღვინოები სვირის და ბაღდადის რაიონში—35 ათას ფუთამდე. ამ დაგროვილი მარაგიდან განაღდებულ იქნა 95 ათასი ფუთი, აქედან საკუთრად დამზადებული ღვინო იყო 60.000 ფუთი.

ღვინო იყიდებოდა 3 მან. 20 კაპეიკიდან 4 მანეთამდე თვითეული ვედრო. ღვინის გასაღებას ხელი შეუშალა არაყით ვაჭრობამ რუსეთში.

სარდაფს შეუძლია დაამზადოს წლიურად 60 ათასი ფუთი ღვინო. სარდაფის შტატი ძალიან განსაზღვრულია: ერთი ბონდარი, ერთი გამგე, ორი დარაჯი. ყველა ეს მოსამსახურე თვიურად ღებულობს ერთად 534 მანეთს. ასეთი მცირე შტატი უარყოფითად მოქმედობს წარმოების როგორც რაოდენობაზე, ისე ხარისხზე.

სოფლის და თემაღმასკომების თავმჯდომარეთა თათბირი

მესამე და მეოთხე სხდომები

მოხსენებები ადგილებიდან

წალკის თემაღმასკომის მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. ოგანოვი)

წალკის თემში შედის 23 სოფელი, სადაც მოსახლეობენ უმთავრესად ბერძნები და მუსულმანები, რომელნიც მისდევენ მიწის დამუშავებას. უკანასკნელ ხანებში მუშაობა გადადის რაციონალურ მესაქონლეობაზე. თემში გახსნილია 8 კარაქის სადღელი და ყველის საკეთებელი ქარხანა. თემს აქვს შემდეგი დაწესებულებანი: 6 სასოფლო საბჭო, მილიცია, სახალხო სასამართლო, პარტორგანიზაცია, ფოსტა-ტელეფონი, 6 კოოპერატიული დუქანი, 3—4 სკოლა და სხვ. თემს აქვს აგრეთვე საჩვენებელი მინდორი, სასოფლო-სამეურნეო იარაღების გასაქირავებელი სადგური, საექიმო პუნქტი, წერა-კითხვის უც. სალიკვიდაციო სკოლები, გლეხკომები. თემი ამ ჟამად ყველაზე მეტად საჭიროებს გზატკეცილების გაყვანას.

მცხეთის თემაღმასკომის მუშაობა

(მომხს. ამხ. ხუბიეროვი)

მცხეთის თემი თბილისის მაზრას შეუერთდა ა|წ. იანვარში. ამ ხნის განმავლობაში თემაღმასკომმა დაამთავრა წყალსადენის გამოყვანა, დადგა სოფელში ონკანები, შეკეთებულ იქნა კულტურულ დაწესებულებათა შენობა, თემს აქვს შემდეგი დაწესებულებანი: 7 წლიანი შრომის სკოლა 250 მოწაფით, პარტორგანოები, კომკავ. უჯრედი, ფოსტა-ტელეგრაფი, თეატრი, სამკითხველო, საკრედიტო ამხანაგობა, გლეხკომი და სხვა. თემს არა აქვს სამკურნალო პუნქტი, რის გამოც მცხოვრებნი დიდს გაჭირვებას განიცდიან. მიწის რეფორმა და მოწყობა თემში ჯერ ჩატარებული არ არის. აღმასკომის მომავალი მუშაობის გეგმაში შედის: დაწესებულებათა შენობების კაპიტალური შეკეთება, ზაჰესიდან სინათლის გამოყვანა, გზების შეკეთება და სხვა.

კოჯორის თემაღმასკომის მუშაობა

(მომხ. ამხ. ვარნაზოვი)

კოჯორის თემში შედის 14 სოფელი. თემს აქვს შემდეგ ადმინისტრატიული, ეკონომიური და კულტურული დაწესებულებები: მილიციის 5 საგუშაგო, ერთი საექიმო პუნქტი, რამოდენიმე სკოლა, ფოსტა-ტელეგრაფი, კოოპერატიული დუქნები, საკრედიტო ამხანაგობა და სხვა.

ამ უკანასკნელი ხნის განმავლობაში თემში გაკეთებულია სოფლის გზატკეცილები და ხიდები, გამოყვანილ იქნა სოფლებში წყაროები, შეკეთდა ადმინისტ. და კულტ. დაწესებულებათა შენობები, იმართებოდა ლექცია, მოხსენებები აგრონომიულ და სანიტ.-ჰიგ. საკითხებზე. თემი ამჟამად დიდათ საჭიროებს წისქვილებს.

თელეთის თემაღმასკომის მუშაობა

(მომხს. ამხ. გვილავა)

თემს აქვს თითქმის ყოველგვარი ადმინისტრატიული, კულტურულ-ეკონომიური დაწესებულებები. არა აქვთ ჯერჯერობით საკრედიტო ამხანაგობა, რომელსაც თემი დიდათ საჭიროებს. თემის აღმასკომი შეძლებისდაგვარად ეწეოდა მშენებლობას სასოფლო მუშაობის ყოველ დარგში: საანგარიშო პერიოდში აღმასკომმა შეაკეთა გზები, ადმინისტრატიულ და კულტურულ დაწესებულებათა შენობები, გაიყვანა სოფ. თელეთში წყალსადენი, აიყვანა აღრიცხვაზე ქვრივ-ობოლნი, რომელთაც ეძლეოდათ ნივთიერი და საექიმო დახმარება. გარდა ამისა აღმასკომი ეწეოდა სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობას, არიგებდა სესხის სახით სათესლე ხორბლეულს. თემი დიდათ საჭიროებს სარწყავ არხებს. არხი გაყვანილია მხოლოდ სოფ. სოღანლუღის მიდამოებში. ამჟამად არხი გაჰყავთ სოფ. ყუმისში. საანგარიშო პერიოდში თემს ჰქონია 1470 მ. შემოსავალი, გასავალი—1209 მანეთი.

ყარაიაზის თემაღმასკომის მუშაობა.

(მომხს. ამხ. ალიევი).

ყარაიაზის რაიონში აღმასკომის მთავარ საქმეს წარმოადგენს რაიონის სარწყავი ქსელის მოვლა-პატრონობა და გაყვანა. ა|წ. თებერვლიდან აღმასკომი შეუდგა რემონტს მთავარი არხისას, რომელიც არ შეკეთებულა 7 წლის განმავლობაში. არხის გაწმენდა-შეკეთებას აწარმოებდენ მუშათა არტელები. გარდა არხის შეკეთებისა, გაკეთებულ იქნა ქვის ახალი შლიუზები და გაწმენდა შლამ-სილისაგან გამწვრივებული არხები. აღმასკომი დიდ ყურადღებას აქცევდა აგრეთვე ბამბის კულტურის გავრცელებას ადგილობრივ გლეხებში, მებამბე მეურნეთა რიცხვი წელს 200-დან ავიდა 850 კაცამდე. წელს დათესილია ბამბით 1700 დესეტ. და სწარმოებდა აგრეთვე დაჭაობიანებული ადგილების ამოშრობა. აღმასკომის მიერ გაწეულ სხვა მუშაობათაგან აღსანიშნავია: კულტურულ დაწესებულებათა შენობების აგება-შეკეთება, ახალი გზებისა და ქუჩების გაყვანა და სხვა. ყარაიაზის რაიონში არის შემდეგი დაწესებულებანი: სამკურნალო პუნქტი, სამალიარო სადგურები, კოოპერატიული დუქნები, საცდელი მინდორი, გლეხკომი, მილიცია და სხვა. რაიონი ძალიან საჭიროებს წყაროს წყალს, რომლის გამოყვანასაც ამ ახლო მომავალში ფიქრობს აღმასკომი.

აღმასკომის ბიუჯეტი უდრის 16 ათასს მანეთს.

პრიუტის თემაღმასკომის მუშაობა.

(მომხსენებ. ამხ. ბორისოვი).

თემი აერთიანებს 19 სოფელს, სადაც სცხოვრობს 2600 მოსახლე, მოსახლეობა აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საბჭოთა მშენებლობაში, თემს აქვს თითქმის ყველა საჭირო კულტურულ-ეკონომიური დაწესებულება. თემში არ არსებობს საკრედიტო ამხანაგობა, 2 ქართულ-რუსული სკოლა, რომელიც გახსნილია თემში, ვერ აკმაყოფილებს საჭიროებას, კოოპერაციის მუშაობა ამ უკანასკნელ ხანებში გაუმჯობესდა, გვარიანად მიმდინარეობს მიწათმოწყობის საქმეც, რომელსაც თემისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. კარგათ არის დაყენებული აგრეთვე კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა. თემი საჭიროებს ტყის დაცვის და საექიმო დახმარების მოწესრიგებას.

ალბულაღის თემაღმასკომის მუშაობა

(მომხსენ. ამხ. გაბაშვილი)

აღმასკომის მიერ გაწეულ მუშაობიდან აღსანიშნავია: ელსადგურის აგება, მოტორიანი წისქვილის შეკეთება-ამუშავება, ყოველკვირეული ბაზრობის მოწყობა, სასაკლაოს, წყალსადენის შეკეთება, საავტომობილო და საურმე გზატკეცილების შეკეთება და სხვ.

მიწათმოწყობის საქმე დამთავრდა 13 სოფელში.

კარგად არის დაყენებული აგრეთვე კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა: მოქმედებს 16 სკოლა, წ. კ. უცოდინარობის 20 სალიკვიდაციო სკოლა, კლუბები და ქოხ-სამკითხველოები.

მცხოვრებთა ჯანმრთელობის დასაცავად დაარსებულია საავადმყოფო ამბულატორიით, 2 აფთიაქით, კბილის საექიმო კაბინეტით და სხ. ამ ჟამად თემი საჭიროებს კეთილმოწყობას, საბეითლო საქმის მოწესრიგებას და სკოლებისათვის შენობების აგებას.

ასურეთის თემაღმასკომის მუშაობა

(მომხსენ. ამხ. თეთრაშვილი)

ასურეთის თემი შეიცავს 3 ათასს მოსახლეს. საანგარიშო პერიოდში საბჭოთა მშენებლობა თემში გაცხოველდა. თემში დაარსებულია 11 შრომის სკოლა, 9 ქართული, 1 გერმანული და 1-იც სომხური. მოწაფეთა რიცხვი ერთი-ორად გაიზარდა. სკოლის შენობები საჭიროებენ შეკეთებას. გარდა სკოლებისა თემს აქვს სხვა კულტურული დაწესებულებანიც, 2 საექიმო პუნქტი, საბეითლო სადგური, აგრონომიული პუნქტი, საკრედიტო ამხანაგობა, კოოპერატიული დუქნები, გლეხკომები და სხვა. ამ ჟამად თემი საჭიროებს: არხების გაყვანას, გზატკეცილების გაყვანა-შეკეთებას, კოოპერატიული მშენებლობის გაძლიერებას, კლუბების და სკოლების მოწყობას და სხვა.

წითელ ჯარში

წითელი არმიისა და ფლოტის სახლი

მსროლელთა წრის დაარსება.

წითელი არმიის და ფლოტის სახლში (პლეხანოვის პრ. № 73) ეწყობა მსროლელთა წრე, რომლის მიზანია შეასწავლოს წრის წევრებს ვინტოვკის მოხმარება.

მეცადინეობა იქნება თეორიული და პრაქტიკული. პრაქტიკული სროლა იწარმოებს სასროლ მოედანზე.

სროლისათვის წევრებს მიეცემათ ვინტოვკა და ვაზნები.

წრის წევრებად ჩაწერა ხდება წითელი არმიის და ფლოტის სახლის კანცელარიაში დილის 8 საათიდან დღის 2 საათამდე და საღამოს 6-დან 10 საათამდე.

წრის წევრებად ჩაწერა შეუძლიათ საკადრო და ტერიტორიალური ნაწილების სამხედრო მოსამსახურეებს, მწვევამდელებს, პროფკავშირების წევრებს და მოსწავლეებს.

სამხედრო ტოპოგრაფიის შემსწავლელი წრე.

წითელი არმიის და ფლოტის სახლში ეწყობა სამხედრო ტოპოგრაფიის შესწავლის წრე. მეცადინეობის მიზანია ტოპოგრაფიული რუკების შესწავლა, მათი წაკითხვა და ადგილების გადაღება, როგორც პერსპექტიული, ისე უბრალო.

მეცადინეობის დღეებს აწესებს თვით ჯგუფი.

ჯგუფში ჩაწერა შეუძლიათ საკადრო და ტერიტორიალური ნაწილების სამხედრო მოსამსახურეებს, წვევამდელებს, პროფკავშირების წევრებს და მოსწავლეებს.

ჩაწერა ხდება წითელი არმიის და ფლოტის სახლის კანცელარიაში ყოველდღე დილის 8 საათიდან დღის 2 საათამდე და საღამოს 6—10 საათამდე.

ბ. ს. ს. რ. სახ. კომისარ.
საინფორმაციო-ბიბლიოთ.

ორშაბათს, ა | წ. 15 ივნისს, საღამოს 6 საათზე, წითელ თეატრში (ყოფ. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში) მოწვეულია ფაბრიკა-ქარხნების და ადგილკომების დასწრებით,

თბილისის საბჭოს გაფართოვებული პლენუმის სხდომა

დღის წესრიგი:

1) მოხსენება სრულიად საკავშირო საბჭოთა მესამე ყრილობის შესახებ—მოხსენებელი: **ამხ. ამხ. ფილიპე მახარაძე და მამია ორახელაშვილი.**

2. მიმდინარე საკითხები.

დასწრება საბჭოს **ყველა** წევრებისა და კანდიდატებისათვის სავალდებულოა. პრეზიდიუმი.

2-1 ნ. 1309

თბილისის აღმასკომის გაფართოებული სხდომა

თბილისის ქალაქის აღმასკომის და თემაღმასკომების თავმჯდომარეთა გაერთიანებული სხდომა განახლდა 12 ივნისს დღის 12 საათზე ამხ. **ლადო სუხიშვილის** თავმჯდომარეობით. მორიგი მოხსენება საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ გააკეთა ამხ. ვარლამ მესხმა.

საბჭოთა მშენებლობის შესახებ

(მომხსენებელი ამხ. ე. მესხი)

მომხსენებელი თათბირს აცნობს საბჭოთა კავშირის ცაკთან არსებულ თათბირის მუშაობის შედეგებს საბჭოთა მშენებლობის სფეროში. პირველი ნაკლი, რომელიც შენიშნა პირველმა თათბირმა, იყო გლეხობის ფართე მასის მონაწილეობის მოუღებლობა საბჭოთა არჩევნებში, რასაც შედეგათ მოსდევდა გლეხების ჩამოშორება საბჭოთა მშენებლობისგან და სასოფლო საქმეებით დაუინტერესებლობა. ახალ ღონისძიებათა შემდეგ უკანასკნელ არჩევნებში გლეხთა მონაწილეობა 60 პროცენტამდე გაიზარდა. ამ საკითხის მოგვარების შემდეგ წამოიჭრა საკითხი სოფლის ძირითადი ორგანოების გაუმჯობესების შესახებ. უკანასკნელ დრომდე სასოფლო-ყრილობებს ჰქონდათ სტიქიური ხასიათი, მათ აკლდათ იდეური და ორგანიზაციული ხელმძღვანელობა. საბჭოთა კავშირის ცაკთან არსებულმა თათბირმა გამოიმუშავა ახალი ღონისძიებანი, რომელნიც გლეხებს აჩვევენ ყრილობებზე საკითხების პრაქტიკულ დასმას და გადაჭრას—ერთი მხრივ, და მეორე მხრივ გლეხობაში იწვევენ მეტს ინტერესს და საბჭოთა მშენებლობისადმი მეტს ყურადღებას.

ქვედა აპარატის ერთი დიდი ნაკლი იყო აგრეთვე ის, რომ უკანასკნელ საბჭოთა არჩევნებამდე არ იყო მტკიცეთ ჩამოყალიბებული სოფლის საბჭოს უფლებრივი მხარე, რაც ხშირად ადგილობრივ მუშაკებში იწვევდა კანონების უცოდინარობას, გაურკვევლობას უფლება მოვალეობაში და ხშირად უფლების გადაჭარბებასაც; უკანასკნელი გარემოება კი არყევდა ხელისუფლების ძირითად ორგანოების ავტორიტეტსა და გავლენას.

უკანასკნელ ხანებში მიღებულ გამოცდილების და დაკვირვების მიხედვით სასოფლო ორგანოების (თემსაბჭოების და აღმასკომების) შესახებ გამომუშავებულ იქნა დებულება, რომელიც აგებულია უფლებრივი და სალსრობრივი დეცენტრალიზაციის საფუძველზე.

ყველა ეს ღონისძიებანი საგრძნობლად აუმჯობესებენ და ხელსუწყობენ საბჭოთა მშენებლობის გაძლიერებას სოფლად.

შემდეგ თათბირი ისმენს დებულებას თემაღმასკომის უფლებამოვალეობათა შესახებ. თათბირი დებულებას არჩევს მუხლობრივად. დებულების სხვადასხვა მუხლმა გამოიწვია ხანგრძლივი და გაცხოველებული კამათი.

კალია თბილისის მიდამოებში

თბილისის მახლობელ მიდამოებში კალიის გამოჩენის გამო, ჩვენმა თანამშრომელმა მიმართა სოფლის მეურნეობის მავნეებთან მებრძოლ ბიუროს, სადაც მას მისცეს შემდეგი დაწვრილებითი ცნობები:

ნავთლუღის ველებზე, ყოფ. წმინდა ბარბარეს მიწებზე, გამოჩნდა იტალიური კალია („პრუსიკები“), რომელიც მოედო ნათესებს 3 დესეტინის მანძილზე. ეს კალიები პატარპატარები არიან, მეორე მესამე ჰასაკის, მაშასადამე გაჩენილან ამავე მინდვრებზე.

მავნეებთან მებრძოლმა ბიურომ, როგორც კი გაიგო ამის შესახებ, მაშინვე მიიღო სათანადო ზომები და გასული შაბათიდანვე შეუდგა მათ მოწამვლას.

საწამლავის მოქმედების შედეგები გამოირკვევა ამ დღეებში.

ამას გარდა გორის მაზრაში ხაშურის რაიონში და თელავის მაზრაში ახმეტის რაიონში გაჩნდა ქიები, რომლებიც ანადგურებენ პურის ჯეჯილის ფურცლებს.

ბიურომ გაგზავნა იქ ინსტრუქტორი სათანადო ზომების მისაღებად.

ქრონიკა

ა | ქ. საჰაერო ფლოტის მეგობართა საზ-ბაში.

ამიერ-კავკასიის საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოება მონაწილეობას მიიღებს პლანერების საერთაშორისო შეჯიბრებაში გერმანიაში—რონის პროვინციაში. შეჯიბრება გაიმართება მიმდინარე წლის აგვისტოში. ამიერ-კავკასიის საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოება შეჯიბრებაში გამოვა ერთი საკუთარი პლანერით; ეს პლანერი უკვე შეკვეთილია.

ახლო მომავალში მოხდება ა | ქ. ს. ფ. მ. ს. და „დობროხიმ“-ის გაერთიანება.

უკანასკნელი ცნობების მიხედვით, საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების წევრთა რიცხვი ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებში აღწევს 100.000 კაცს.

— **ტრამვაის დირექციამ** შეიძინა 3 ათასი ფუთი ფოლადი ტრამვაის საჭიროებისათვის.

— **ტრამვაის პარკთან** შენდება ტრამვაის მუშების დასასვენებელი სახლი.

— **კალია.** ნავთლუღის ახლოს მდებარე ყანებს სივრცით 300 დესეტინას მოედვა კალია, რომლის წინააღმდეგ მავნეებთან ბრძოლის ბიურო აწარმოებს ენერგიულ ბრძოლას.

— **მიწათმოქ. სახ. კომისარიატმა** თავის შეფობის ქვეშ მყოფ სოფ. არაგვიანს და სასოფლო-სამეურნეო სკოლას გადასცა 6 40 მან., რომელიც კომისარიატს შემოუვიდა გამართულ დოღიდან.

— **ბორჯომის წყალი.** უკანასკნელ ხანებში ძლიერ გაიზარდა მოთხოვნილება ბორჯომის წყალზე მოსკოვსა და თურქესტანში. ბორჯომის წყალი ბევრი იგზავნება აგრეთვე ბალტიის ზღვის სანაპირო სახელმწიფოებშიც.

— **ტყავეულობის დამზადება.** ტყავის ტრესტი შეუდგა ნედლი ტყავეულობის დამზადებას თურქესტანში.

— **დროებით შრომის უნარდაკარგულებს** მაისში თბ. დამზღვევ კასამ მისცა 55,427 მ.

— **დაზღვეულთა საქიმო** ქვეგანყოფილების თბ. დამზღვევმა სალარომ მაისში დაზღვეულთ მკურნალობისათვის მისცა 39,912 მ.

— **ქუჩების მორწყვა.** თბ. აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილება შეუდგა საბარგო ავტომობილებზე წყლის ქვაბების მოწყობას, რომლითაც მორწყული იქნება მუშათა უბნები.

— **ხანძრის საშიშროების** თავიდან ასაცილებლად ტრამვაის სადგურში მოწყობილი იქნა ცეცხლის საქრობი მილები.

— **ქალაქის აბანოებიდან** მაისის განავლობაში თბ. აღმასკომს შემოუვიდა 83,377 მ. 57 კ.

— **ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობა.** ა | ქ. აღმოსავლეთის სავაჭრო პალატა აწარმოებს წინასწარ მუშაობას ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაში მონაწილეობის მისაღებათ.

— **ქალაქის მე-2 სავადმყოფოს** თბ. აღმასკომის დასტურის თანახმად ეწოდა „კლინიკური ინსტიტუტი“.

— **საჰაერო ფლოტის მეგობართა** საზოგადოებას თბ. აღმასკომმა მისცა 50 პროც. შეღავათი მის მიერ დაკავებულ დარბაზის ქირაში.

— **გზების გაყვანა სვანეთში.** გზატკეცილების სამმართველომ სვანეთში მიავლინა დიდი ჯგუფი ინჟინრებისა და ტეხნიკების ადგილობრივ გზების გასაყვანათ.

— **გლეხის ბიუჯეტის გამოკვლევა.** ამ ჟამად მთელ საქართველოში სწარმოებს გლეხის ბიუჯეტის გამოკვლევა.

— **ცეცხლის საქრობი იარაღები.** თბ. ცეცხლისმქრობელ რაზმმა ახალციხის, ქუთაისის, ბორჯომის, ზუგდიდის, სენაკის, გორის, ფოთის და სამხრეთ-ოსეთის ცეცხლისმქრობელ რაზმებს დაუგზავნა ცეცხლის საქრობი იარაღები.

— **საზოგადო სამუშაოების მოხაწყობათ** შრომის სახ. კომისარიატმა ბათომში მიავლინა საორგანიზაციო განყოფილების გამგე ამხ. კვირიკაშვილი.

— **ტრაქტორი გორის მაზრაში.** მიწათ-მოქ. სახ. კომისარიატმა გორის მაზრაში გამოსაცდელათ გაგზავნა ტრაქტორი „ფორდზონის სისტემის. თუ ტრაქტორი გამოდგა, ის გადაეცემა მაზრას.

— **დახმარება არტელებს.** მთავრობის დადგენილებით ამერიკულ ვაზის სანერგეების მოსაწყობათ ზემო-ხოდაშენის სასოფლო-სამეურნეო არტელს მიეცა 3 ათასი მან, ხოლო ყაზის ხევისას—2000 მ.

— **მცენარეთა დაცვა.** ა | ქ. ფინსახკომმა დაამტკიცა მცენარეთა დაცვის განყოფილების შტატი 12 სპეციალისტისა და ინსტრუქტორისაგან შემდგარი.

— **ტრამვაის მუშებისათვის** სპეცტანისამოსის შესაკერად ტრამვაის დირექციამ შეიძინა 15 ათასი მეტრი მატერია.

— **ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოებაში** სამშაბათს, 16 ივნისს, საღამ. 8 საათზე საქართველოს მუზეუმის სააუდიტორიო დარბაზში საზოგადოების მორიგ საჯარო სხდომაზე მაკარი ხუბუა წაიკითხავს მოხსენებას: „პირველი და მეორე პირის სუბიექტური და ობიექტური პრეფიქსი მეგრულში“.

შიო მღვიმელი

(მისი სალიტერატურო დილის გამო, რომლის გამართვა განზრახულია ა. წ. 14 ივნისს)

შიო მღვიმელი. ეს სახელი ჩვენში თითქმის ყველაზე პოპულიარული სახელია, ვინაიდან **მღვიმელი** ბავშვთა პოეტია, მასთან ჩვენში თითქმის ერთად ერთი.

ჩვენში ბავშვი **შიო მღვიმელით** იდგამს ენას, ეჩვევა კითხვას, ეწაფება ლიტერატურას და ასე ეზიარება მთელს ცხოვრებას.

თუ ბავშვებისათვის სკოლა სარკმელია ცხოვრებისაკენ, **შიო მღვიმელი,** მისი პოეზია—ამ სარკმლის მინებზე პირველად აცელქებული გაზაფხულის მზის ნორჩი სხივებია. ამ სასიცოცხლო სხივებს ექსოვება და მისდევს, მიჰყვება წინ მთელი ჩვენი ნორჩი თაობის მხედველობა, იკრებს სასიცოცხლო ძალებს, ეწაფება სწავლისა და ცოდნის უსაზღვრო მზეს, იზრდება და ჰაბუკდება.

ძია შიო!

ამ სახელით იცნობს **მღვიმელს** ბავშვთა საზოგადოება. საკმაოა ახსენოთ ეს სახელი, რომ მაყურებელ ბავშვთა თვალებში გამოიწვიოთ სიხარულის ის განსაკუთრებული ჭიატი, რომლითაც ბავშვები აჯილდოებენ მხოლოთ რჩეულებს, მათ ნორჩ გულებთან ახლო მდგომ ადამიანებს და მოვლენებს.

სწორეთ ასეთია **შიო მღვიმელი.**

შიო მღვიმელი დაიბადა 1866 წელს ქართლის სოფელ ბრეთში, ხოლო ბავშვობა გაატარა ს. ვარიანში. ექვსი წლის შიო თავისთან წაიყვანა მისმა ძმამ-გიორგი ქუჩუკაშვილმა კახეთში, ს. შილდაში, სადაც ის იმ ხანად მასწავლებლობდა. შიომ აქ შეისწავლა ძმისგან წერა-კითხვა. მაგრამ მალე ძმა სხვა სამსახურში გადავიდა ქ. განჯაში და უმწეოთ დარჩენილი შიო იძულებული გახდა დაბრუნებულიყო ისევ ქართლში, ქვრივ დედასთან. დედას არავითარი სალსარი არ გააჩნდა, რომ შვილისათვის სწავლა განეგრძობებინა. ამ დღიდან პატარა შიოს ბედი კეთილი ადამიანების ანაბარად შეიქნა მიგდებული. ერთი წლის განმავლობაში მას ასწავლიდა მასწავლებელი გიორგი ჩიგუნავა, ს. ჯავას (ოსეთში) სოფლის სკოლაში. ამის შემდეგ ცამეტ წლამდე შიო სახლში დარჩა დედასთან, მოწყვეტილი სკოლას, სწავლას და იმედიან მომავალზე ფიქრებს. მხოლოდ 13 წლის ბავშვი, შიო და ქეთევან დავითაშვილების შეოხებით, ახერხებს გორის საოსტატო სემინარიასთან არსებულ პირველ დაწყებით, ეგრედ წოდებულ სამაგალითო სკოლაში შესვლას. აქედან ის გადადის გორისავე სამოქალაქო სასწავლებელში.

გორის სამოქალაქო სკოლაში სწავლის დასრულების შემდეგ, შიო ესახლება ქ. თბილისში, სადაც ეწევა სხვადასხვა საზოგადო შრომას, რომელთა შორის მისი საბავშვო ლიტერატურის უანგარო და უზადლო სამსახური ყველაზე უფრო თვალსაჩინო, წარმტაცი და სასახელოა. მისი „ოქროს თავთავი“ მუდამ დარჩება ქართული საბავშვო ლიტერატურის ოქროს გვირგვინათ.

1916 წელს გადახდილი იქნა **შიო მღვიმელის** მოღვაწეობის 30 წლის იუბილე, რომელიც, თბილისს შემდეგ, ბევრ პროვინციალურ ქალაქებშიც განმეორდა.

წელს უკვე 40 წელი უსრულდება **შიოს** მადლიან კალამს, რომელიც 40 წლის მანძილზე პირნათლად ემსახურება ჩვენ ნორჩ თაობათა მთელს რიგებს. ამიტომ ამ წლის შემოდგომაზე განზრახულია **შიო მღვიმელისათვის** 40 წლის იუბილეს გადახდა საბჭოთა წყობილების პირობებში, რაც, თავის-თავად ცხადია, განსაკუთრებულს ელფერს მისცემს ამ დღესასწაულს.

მაგრამ ეს, ასე ვსთქვათ, შორეული საკითხია. ამ ჟამად **ძია შიო** განიცდის დიდ ნივთიერ საჭიროებას. მისი დაავადმყოფებული ცოლ-შვილი და თვითონ ისიც საჭიროებენ ამ ზაფხულში დასვენებასა და შესაფერ ცხოვრების პირობებს. ამიტომ **შიოს** პატივისმცემლებმა განიზრახეს **ძია შიოსათვის** სალიტერატურო, უმთავრესად, საბავშვო დილის გამართვა. ეს დილა უნდა დარჩეს ორივ მხრით სარგებლიანი: პოეტსაც უნდა მოუტანოს ერთნაირი ნივთიერი საშუალება და ჩვენს ნორჩ მოწაფეობასაც უნდა მისცეს გონებისა და გრძნობის შესაფერი კმაყოფილება. 14 ივნისმა უნდა გვიჩვენოს, თუ რამდენათ ძლიერია ჩვენს ნორჩ ახალგაზრდობაში **ძია შიოსადმი** თანაგრძნობა და სიყვარული.

ჩვენ იმედი გვაქვს აგრეთვე ჩვენი მასწავლებლობისა, რომელიც მოვალეა შეხვდეს ამ დღეს შესაფერი მომზადებითა და პატივისცემით. ვისაც ჩვენი ნორჩი თაობის ბედი კი აინტერესებს, მას არ შეუძლია გვერდი აუხვიოს ბავშვთა მგოსნის, **შიო მღვიმელის,** ამ საპატივისმცემლო დილასაც.

კომისიის წევრი.

ხელოვნება

პროლემაფის ლიტერატურული საღამოები დასავლეთ საქართველოში

პროლეტარულ მწერალთა კოლექტივი პროლემფი (პროლეტარულ მწერლობის ახალი ფრონტი) ამ დღეებში გამართავს ლიტერატურულ საღამოების სერიას დასავლეთ საქართველოში. კოლექტივი ზამზავრება თითქმის მთელი შემადგენლობით. საღამოებში მონაწილეობას მიიღებენ კოლექტივის წევრები: ა. ბუმერანგი-მაშაშვილი, ვ. ბესოშვილი, ბ. ბუჩიძე, ე. გუგუნავა (პოლუმორდვინოვი), კ. კალაძე, კ. ლორთქიფანიძე, გ. ლუარსამიძე, ჟ. მდივანი, შ. რადიანი, დ. რონდელი, პ. ქიქოძე, კ. ფეოდოსიშვილი, თ. ჩქარეული.

გარდა კოლექტივის შემადგენლობისა საღამოებში მონაწილეობას მიიღებს დამსახურებული პროლეტარული პოეტი ნოე ზომლეთელი.

საღამოებში შედის სამი განყოფილება: 1. სიტყვა, 2. პროზა, 3. პოეზია. პირველი საღამო გაიმართება ქუთაისში სამშაბათს, 16 ივნისს (სახელმწიფო თეატრში), შემდეგ კოლექტივი გაემგზავრება ბათომში, სამტრედიაში, სენაკში, ფოთში, ჭიათურაში და სხვა.

— **საოპერო სტუდიაში.** ხვალ, საღამოს 8 საათზე სტუდიაში (რუსთაველის პრ.) განმეორებული იქნება ოპერა „ფარული ქორწინება“ ახალი შემადგენლობით. დასწრება ყველას შეუძლიან მხოლოდ სტუდიაში წინასწარ შეძენილი ბილეთებით.

— **წითელი არმიისა და ფლოტის ბალი.** დარბაზში—ამხ. ნიკიფოროვის მოხსენება: „ბრძოლა გაზებით“, თეატრში-წარმოდგენა, ბაღში--სურათი „მესალინა“.

— **ვ. ჰიუგო ქართულად.** გადაითარგმნა ქართულად ვ. ჰიუგოს მე-„93 წელი“, რომანი სამ ნაწილად.

— **სომეხ ხელოვანთა სახლში.** ხვალ გაიმართება პიანისტ ტერ-დავთაიანის კონცერტი.

კინო-თეატრების ბილეთებზე 10 პროცენტიანი დანარიცხის განაწილება.

საქ. სახკომსაბჭოს ა | წ. აპრილის 29-ის დადგენილება კინო-თეატრების ბილეთებზე დაწესებული 10 პროცენტიანი ანარიცხის შესახებ გაუქმებულ იქნა. ზემოხსენებული დადგენილების თანახმად კინო-თეატრების ბილეთებზე დაწესებული 10 პროცენტიანი ანარიცხი მთლიანად გადაეცა თბილისის აღმასკომს ა | წ. ივნისის 1-დან.

— **კონსერვატორიის** დარბაზში ხვალ გაიმართება ლიტერატურული საღამო,

— **პროფ. ჯაყელის საღამო.** დღეს კონსერვატორიაში გაიმართება ამავე კონსერვატორიის პროფ. ა. ჯაყელის საღამო ბოგოლეპოვას, ვენაძის, შარაშიძის, ცირღილაძის, ანდღულაძის და სხ. მონაწილეობით.

— **ახალი წიგნი.** იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა გრიგოლ ცეცხლაძის ლექსების მეორე წიგნი: „ფერიდ-ფერიდი ლექსები სატრფოსათვის გასართობათ.

— **ვანო სარაჯიშვილის** სახელობის ბაღი-კლუბის (ოპერის თეატრის გვერდით) საზეიმო გახსნა მოხდება ორშაბათს, 15 ივნისს.

დღეს კინოებში:

— მინიონ—„ცხოვრების ჭირვარამის ტალღებში“.
— აპოლო—„ყალბი ქორწინება“.
— არფასტო—„კინ“.
— სოლეი—„კინ“.
— ეთერი—„კინ“.
— პალას —„საგანძური ტბის ძირას.“
— ოაზის—„საქმრო მარყუჩიდან“.
— სიმი—„პაოლო ალოვარეცი“.

შემთხვევები

— **დაჭრა.** 11 ივნისს, საზოგადო ქ. № 11 სახლის წინ უცნობებმა რევოლვერით დასჭრეს მოქ. იოსებ ქობულაშვილი.

— **გვამის პოვნა.** 8 ივნისს, ღამით იპოვეს ზაჰესის ჯებირთან მოკლულ უცნობ პამაკაცის გვამი.

— **ველოსიპედის „მოყვარული“.** 9 ივნისს, შეიპყრეს მოქ. მიხეილ მახვილაძე, რომელმაც რამდენიმე დღის წინ გაიტაცა ალექსი ხარატაშვილის ველოსიპედი.

— **მსხვილი ქურდობა.** 6 ივნისს, ბებუთოვის ქ. № 6 გაქურდეს მიხეილ პაინაკინის ბინა, წაიღეს 600 მანეთის ნივთები.

— **ქურდი ქალი.** 6 ივნისს შეიპყრეს მოქ. ვერა მაცი, რომელსაც ბრალდება მარიამ გალიცკის (გრიბოედოვის ქ. № 3) გაქურდვა.

— **ქურდი ცოლი.** 11 ივნისს, სუფსარქისის ქ. № 56 გუსეინ ყურბანოვი გაქურდა მისმა ცოლმა რაისა ხრაბოვამ, რომელმაც წაიღო 200 მანეთის ნივთები.

— **ქურდობა.** 10 ივნისს, ყვირილის ქ. № 1 მოქ. იოსებ კურიაწოვის ბინიდან მოიპარეს 116 მან. ნივთები.

— 9 ივნისს, გრიბოედოვის ქ. № 13 გაქურდეს ოლღა კალასტოვას ბინა.

— 6 ივნისს, სასამართლოს ქ. № 38, ზინა ბააზოვის ბინიდან მოიპარეს 100 მან. ნივთები.

„კაზინო“-ს მსხვერპლი

გუშინწინ რკინისგზის და ტრანსპორტის საგანგებო კომისიის თანამშრომლებმა შეიპყრეს ა | ქ. რკინისგზის თანამშრომელი არმენაკ ანანოვი, რომელმაც მთელი თავისი „ნაყოფიერი“ მუშაობის განმავლობაში მიითვისა და გაფლანგა არც მეტი არც ნაკლები—8.000 მანეთი.

საქმე შემდეგში იყო:

ანანოვი ა | ქ. რკინისგზებზე იყო დავალებათა შემსრულებელ თანამშრომლად იურიდიულ განყოფილებაში, ის აწარმოებდა სასამართლო საქმეებს მოიჯარადრეების და სხვა პირების წინააღმდეგ, რომლებიც არღვევდენ ხელშეკრულებას. ანანოვი აგროვებდა იმ ფულებს, რომელსაც სასამართლო გადაახდევინებდა დამნაშავე მხარეს, მაგრამ სალაროში კი არ შეჰქონდა, არამედ ჩაიდებდა ხოლმე თავის ჯიბეში და გაეშურებოდა „კაზინოში“-ში, სადაც სტოვებდა უკანასკნელ კაპეიკსაც.

ამრიგად, 1924 წ. ივლისიდან დაპატიმრებამდე მან გაფლანგა 8.000 მანეთი. **ფიტო.**

მუშათა ცხოვრება

ბგვილო ამ გაბიუროკრატებულმა „ჩინოვნიკმა“.

(აღმასკომის საყურადღებოდ)

აღმასკომის მიერ გამომუშავებულ ინსტრუქციებში ნათლად სწერია თუ რა უფლებით სარგებლობს საბჭოს წევრი. საბჭოს წევრს უფლება აქვს შევიდეს რიგს გარეშე ამა თუ იმ განყოფილების გამგესთან. მართალია შესვლას არავინ გვიშლის, მაგრამ თუ საქმეზე მიდი, ნურას უკაცრავად, მათ ჩვენთვის არა სცალიანთ, არც სცნობენ საჭიროდ ჩვენთან ლაპარაკს. ერთ ასეთ ჩინოვნიკს წარმოადგენს მოქალაქე **ადამოვი** (აღმასკომის „უ. ქ. ს.“ ი-ს გამგის მოადგილე), რომელიც ისე გათავხედდა, რომ როდესაც საბჭოს წევრი მოითხოვს მისგან კანონიერ ფარგლებში მოქცევას, ის ასე უპასუხებს: „убирайтесь вон отсюда!“ და მიუთითებს კარებისაკენ. მოქ. ადამოვმა იცის საბჭოს წევრის უფლებები და ის ასე ექცევა მათ. ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი იქნება მისი ქცევა იმ ათას მშრომელ ხალხთან, რომლებსაც თვეობით უხდებათ რიგში დგომა მის „ბრწყინვალების“ სანახავად. **ადამოვისთვის** არ არსებობს კანონი, არც აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილება არის მისთვის სავალდებულო: 1924 წ. 8 ოქტომბერს არის დადგენილება პრეზიდიუმისა № 138 რომ თვითმშრომელ ხელოსნებს დაუკლონ დარაბების ქირა ნორმალურ შეფასებიდან 25 პროც. როგორ ფიქრობთ, **ადამოვი** ამას ატარებს ცხოვრებაში? არა. ის მოსისხლე მტერია მშრომელი მასის, მისი მოპყრობა თვითმშრომელ ხელოსნებისადმი პირდაპირ აუტანელია და ძველი „ჩინოვნიკური“.

საჭიროა ბოლო მოეღოს ამ „ჩინოვნიკის“ თავგასულობას!

ქალ. საბჭოს წევრი.

ლენინის უბანში.

ეს ერთ თვეზე მეტია, რაც ლენინის უბანში (ლოტკის ქუჩაზე) დასრულდა პატარა ბაღის მოწყობა.

ასეთი ბაღი ლენინის უბანში არის პირველი და სწორეთ განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი, როდესაც ხედავს ასეთ კარგს და სასიამოვნოთ მოწყობილ ბაღს მუშათა უბანში. ბაღში დარგულია საუკეთესო ჯიშის ხეები ნაძვნარი და ყვავილები; არის ოცზე მეტი დასაჯდომი სკამები.

ბაღი ძალიან კოხტა და ლამაზია მაგრამ არ არის განათებული.

თუ ქალაქის აღმასკომი ბაღს გაანათებს, იგი შეიქნება აქაურ მუშებისათვის დაუფასებელ დასასვენებელ კუთხედ.

ნუცა—სიონელი.

მადლობის ღირსია ასეთი მუშაკი.

მე-6 უბანში, წინანდლის ქუჩაზე არის ერთი ქალაქის ბაღი, რომელსაც ეძახიან მეტ სახელათ „ავარაბაღს“. რაც ამ ბაღში მსახურებს მოხუცებული **შაქრო ბიბილური,** დაახლოვებით ოცდა ხუთი წელიწადი იქნება; ის ენერგიულათ მუშაობს და უვლის ამ ბაღს ისე, როგორც თავის საკუთრებას. ჭაღარა შაქრომ არ იცის დახარება და უკან დახევა თავის მოვალეობის ასრულების დროს. არის სინდისიერი და პატიოსანი მუშაკი. ის იქნება დაახლოვებით 80 წლის.

მადლობის და ყურადღების ღირსია ასეთი მუშაკი, რომელსაც ოცდახუთი წლის განმავლობაში სამსახურის დროს არავითარი საყვედური არ მიუღია და თავის მოვალეობას ასრულებს პირნათლად.

ჩვენი მუშური მადლობა ჩვენს ჭაღარა შაქროს.

მუშკორი ალ. ბეგიაშვილი.

როდემდის უნდა ვიტანჯოთ.

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოთ).

პლეხანოვის პროსპექ. სახ. № 26-ში შარბახჩევის სახლში, რამდენიმე ათეული მცხოვრებელია; მათში არის საგრძნობი რიცხვი საბჭოთა მოსამსახურეებისა. ათი დღეა, რაც უწყლობის გამო ვიტანჯებით და მოსამსახურეებს არ გვაქვს საშუალება პირის დაბანის, წყურვილის მოკვლის და სისუფთავის დაცვის. ბინა თავის თავად ბინძურია და უწყლობის გამო მთლათ გაჭუჭყიანდაა. კლოზეტები აღარ ირეცხება და საშინლად აყროლდა. ყველა ეს გამოწვეულია სახლის პატრონის დაუდევრობით და ორიოდე პირის მიერ წყლის ფულის გადაუხდელობით. ფულის არ გადამხდელებს შეიძლება დაეკეტოს წყალი, ხოლო მათი დაუდევრობის გამო მდგმურების დატანჯვა და ანტისანიტარული მდგომარეობის შექმნა ყოვლად დაუშვებელია.

აღმასკომო, გამოგვიყვანე ამ სატანჯველ პირობებიდან.

ინფ. **მწყურვალე.**

გაანათეთ ქუჩები.

(აღმასკომის საყურადღებოდ).

მე-6 და მე-7 უბანში, თელავის ქუჩის ზევით ნაწილებში და ფალავანდოვის ქუჩაზედ ბრმების სკოლის წინ, საშინლად ბნელა. ღამით საშიშია ამ ქუჩებზე გავლა. აქ კი მეტწილად სულ მუშები და სოფლის მუშა-გლეხები დაიარებიან. თუ იქ სინათლეს არ გაიყვანენ, შეიძლება იქ ბოროტმოქმედებაც მოხდეს სიბნელის გამო.

აღმასკომო, გაგვინათე ეს ქუჩები.

მუშკორი ალ. ბეგიაშვილი.

პროვინციაში

სამკითხველოა თუ აღმასკომის საწყობი

ს. ყანდაურა (სიღ. მაზრა)

დიდი ხანია არსებობს ყანდაურაში სამკითხველო. ისედაც ჩამორჩენილ მცხოვრებთ, ეს სამკითხველო რომ მაინც კარგი ჰქონდეთ, რაღა უშავთ!! მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ სამკითხველო სამკითხველოს კი არა ჰგავს, არამედ აღმასკომის საკუჭნაოს წარმოადგენს! რას არ ნახავს კაცი ამ სამკითხველოში? აქ არის დალლილებისათვის მოსასვენებელი „კუშეტკა“, კუთხეში აყუდია მილიციელების თოფები, კედელზე ტანისამოსი ჰკიდია, მხოლოდ თუ შემთხვევით შეიხედავთ „კუშეტკის“ ქვეშ, ხარაზის სადგომი ოთახი თვალ წინ წარმოგიდგებათ. შკაფი, რომელიც წიგნებისთვის არის გაკეთებული, წარმოადგენს პურის ნატეხების, მარილის, ხელსახოცების, ჯამების და სხვა ამისთანეების საწყობს. აღმასკომის სამმართველოს და სამკითხველოს ერთი გასასვლელი კარები აქვთ, ასე რომ ღამის თორმეტ საათზედაც რომ მიხვიდეთ, სამკითხველო მაინც ღიაა.

სამკითხველოს აქვს აგრეთვე ერთი მაგიდა და ერთი სკამი, მაგრამ ისინიც აქა-იქ ტარებისაგან მალე დაიმტვრევა, და ჩვენი სამკითხველო სულ ცარიელი დარჩება. საჭიროა ვინაც ჯერ არს ამას ყურადღება მიაქციოს, და სამკითხველო თავის დონეზე იქნეს დაყენებული. **ეკალი.**

დაწყებული საქმე არ ჩაგვიშალოთ

ქალ. ლანჩხუთი

1921 წელს ქალაქს მთავრობამ მისცა რამოდენიმე დესიატინა ტყე სახალხო სახლის ასაგებ ფონდის გასაძლიერებლათ. ადგილობრივმა მუშებმა და გლეხებმა 30 ვერსის მანძილზე რკ. გზ. სადგურიდან გაიყვანეს ტყემდი ვიწროლიანდაგიანი რკინის გზა, შექმნეს ტყის საექსპლოტაციო კომისია „ყურედიდის“ სახელით და შეუდგენ მუშაობას. შემოსული თანხის პროცენტებით დაწყებულ იქნა სახალხო სახლის შენობის აგება. მიმდინარე წელს „ყურედიდი“ გადაიბარა ს. ს. სატყეო ტრესტმა და ლანჩხუთს მიეცემა თუ არა, რაიმე ეს ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია. ლანჩხუთის ადგილობრივ ამხანაგებს და მოსახლეობას დიდი ღვაწლი და შრომა მიუძღვით ამ ორგანიზაციის მოწყობაში და თუ მომავალში მათ არაფერი მიეცა, სახალხო სახლის აშენება, რომლის ფუნდამენტი ჩაყრილია და კედლებიც 3-4 არშინზე არის აყვანილი, უსათუოთ ჩაბარდება ისტორიას. საჭიროა, რათა საკითხის გადაჭრის დროს ადგილობრივ საქმის ინტერესებიც იქნეს მიღებული მხედველობაში.

კანენი.

ავადმყოფი ადამიანის ფასი ზუგდიდში

სოფ. ცაიში—კახათის გლეხ ალ. ფიფიას მშობიარე ცოლი დაულოგინდა, მესამე დღეა და არაფერი ეშველა. ადგილობრივმა ფერშალმა და სოფლის ბებია ქალმა მორჩენის იმედი დაჰკარგეს. ქმარი გაეშურა მაზრის ექიმთან ზუგდიდში და წამოიყვანა ექ. იას. მუჯირი.

ეს გლეხი 18 ვერსი ფეხით მოსდევდა ცხენს და მოაღწივს სახლამდი. ჯერ სახლში არ შესულან და ქალი განთავისუფლდა. ბავშვი მკვდარი აღმოჩნდა. გასამრჯელოთ ექიმმა ოცი მანეთი მოსთხოვა. გლეხმა უსასრობისა გამო შეღავათი სთხოვა მას. მან უპასუხა: „ჩემო ძმაო, თუ ავადმყოფი მეტი არ გიღირდა, რაზე წამომიყვანეო“. როგორც იყო 18 მანეთით დაკმაყოფილდა.

გლეხი ალ. ფიფია ღარიბია, მან ჯერაც ვერ შესძლო სახელმწიფო გადასახადის გასტუმრება.

ადამიანის ფასი ექიმის აზრით 20 მანეთი ყოფილა.

ვურჩევთ ექიმ მუჯირს ასეთი „ნიხრით“ აწი მაინც ნუ გამოვა გლეხობაში.

მახქალია.

პროვინციის ქრონიკა

— **აღმშენებლობა სოფლად.** სიღნაღის აღმასკომი შეუდგა სოფ. გიორგიეთის სასარგებლოდ მთავრობის მიერ გადადებულ 100.000 მანეთით ადგილობრივ სკოლის, აბანოს, კოოპერატივის აგებასა და გზების გაყვანას. თანხის ნაწილი დაურიგდება გლეხებს საკუთარი მეურნეობის საჭიროებისათვის.

— **ტეხნიკუმის გახსნა.** სიღნაღის აღმასკომმა დაადგინა იშუამდგომლოს სახ. განათლების კომისარიატის წინაშე მაზრაში საწარმოო-ეკონომიური ტეხნიკუმის გახსნის შესახებ.

— **სახალხო სახლი თელავში.** თელავის სახალხო სახლის მოვლა-პატრონობის მიზნით აღმასკომმა მოიწვია ერთი დარაჯი და ერთი ცეცხლისმქრობელი.

— **აღმასკომის შენობის აგება.** სოფ. ფშაველის (თელ. მაზრა) თემსაბჭომ დაადგინა გაყიდოს ძველი შენობა და აღებული თანხა მოახმაროს აღმასკომის ახალ შენობის აგებას.

— **ვენახები გამოკეთდა.** ქვემო რაჭიდან ჩამოსულთა სიტყვით, დიდი ზამთრის გამო გაფუჭებულ ვენახებს გამოკეთება დაეტყო. ყინვებით დამზრალმა ვაზებმა ამოიყარეს ახალი ყლორტები.

— **ახალციხის** აღმასკომმა დაადგინა გადასდოს 500 მანეთი ახალციხე-ურაველის შორის გზატკეცილის გაყვანისათვის წინასწარი მუშაობის საწარმოებლად.

— **ახალი გლეხკომი.** ჭოპორტის რაიონში (დუშეთის მაზრა) დაარსდა ახალი სასოფლო და სათემო გლეხკომი.

იურიდიული რჩევა-დახმარება

მიწას მართმევენ, როგორ მოვიქცე?

კითხვა

ვცხოვრობ სოფელ მიროწმინდაში, ლაშე დ ვერკის თემში; ვმუშაობ ჩემი საკუთარი შრომით; ჩემი სახნავ-სათესი მიწა იმდენათ უვარგისია, რომ რაც უნდა მოსავლიანი წელიწადი იყოს, მისი ნაყოფი მაინც ოც ფუთს არ აღემატება. ჩემი ოჯახი შესდგება თექვსმეტი სულისაგან.

ჩამომართვეს ორი ნაჭერი მიწა, რომელიც საუკეთესო იყო დანარჩენებთან შედარებით. გთხოვთ მიპასუხოთ, კანონიერია თუ არა ჩემთვის მიწის ჩამორთმევა და თუ არა, ვის მივმართო მისი დაბრუნებისათვის.

სარდიონ დევდარიანი.

პასუხი.

მიწის ჩამორთმევა მიწის მუშისათვის შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მფლობელობაში მყოფ მიწის რაოდენობა აღემატება იმ ნორმას,—რაც კომლისათვის დაწესებულია მიწ. კოდექ. მუხ. 63 და 64, 82, 113 და 119-ით და ისიც სამაზრო საადგილ-მამულო კომისიის ინიციატივაზე დამყარებულ მიწათ-მოქმედების სახ. კომისარ. საადგილ-მამულო საბჭოს დადგენილებით, რაც დადასტურებული უნდა იქნას სრ. საქ. საბჭ. ცენტ. აღმასკომის პრეზიდიუმის მიერ.

ის პირნი, რომელნიც მიწას ჩამოართმევენ მიწის მოსარგებლეს „ცაკი“-ს დადგენ. № 18-ის წინააღმდეგ, მიეცემიან პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით,—როგორც ხელისუფლების გადამმეტებელნი. (იხ. „ცაკი“-ს დადგენ. № 18—1925 წ. 15 აპრილიდან).

თქვენი უფლების აღსადგენად თქვენ უნდა მიმართოთ ადგილობრივ სახალხო მოსამართლეს.

(მიწ. კოდ. მუხ. 25).

მეკუთვნის თუ არა დამატებითი ჯილდო?

კითხვა

1922 წ. პირველ ოქტომბრიდან მე ვმსახურებდი სოფ. საგვაზავოს (სენაკის მაზრა) საბჭოთა სკოლაში გამგეთ. ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა საკმარისი ბინა, ამიტომ მეცადინეობა [illegible]აწარმოებდა ორ წყებად.

ზემოხსენებული სკოლა შეიქნა სრული კომპლექტიანი (შვიდწლედი) 1924 წ. სამოსწავლო წლიდან, სადაც მე ვასრულებდი ჩემს მოვალეობას ა. წ. 10 თებერვლამდე. მეცადინეობა სკოლაში მაინც ორწყებად სწარმოებდა ბინის უქონლობის გამო და შრომის ხელფასს კი ვიღებდი ერთ წყებისას.

გთხოვთ გვიპასუხოთ: 1) მეკუთვნის თუ არა ზედმეტი (ორწყებად) შრომის ხელფასი? 2) და თუ მეკუთვნის ვის მივმართო ან როგორ მოვიქცე? მე ვითვლები განათლების მუშაკთა კავშირის სენაკის განყოფილების წევრად. (წიგნაკი № 360).

მასწავლებელი **გრიგორ რუხაძე.**

პასუხი

თუ თქვენ იღებთ შრომის ხელფასს პასუხისმგებელ მუშაკთა ან სპეც-განაკვეთით, მაშინ თქვენ არ მოგეცემათ ზედმეტ საათებში მუშაობისათვის არავითარი დამატებითი ჯილდო; თუ თქვენი ხელფასი განისაზღვრება ჩვეულებრივი სატარიფო განაკვეთით, მაშინ თქვენ უნდა მოგეცეთ ზედმეტ საათებში მუშაობისათვის დამატებითი ჯილდო პირველ-ორ ზედმეტი საათების მუშაობისათვის ნორმალურ ჯილდოს ერთნახევარი რაოდენობით, და დანარჩენ საათების კი ორმაგად.

(იხ. შრომის კანონთა კოდ. მუხ. 60).

ფოსტა

სიღნაღი. ამთაზადთას. თქვენს წერილში მოთხრობილი ამბის გამო დანიშნულია სპეციალური გამოძიება. თუ ფაქტები გამართლდა, შედეგს გაიგებთ ამ დღეებში.

ჩოხატაური. ი. გოგოლაძეს. საქმე გადაეცა ინსპექციას გამოსაძიებლათ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— სამშაბათს, 16 ივნისს, საღამოს 6 საათზე, წითელ თეატრში (ყოფ. სახალხო სახლი) გაიხსნება არსენალის რაიონის უპარტიო მუშა-მოსამსახურეთა კონფერენცია.

დღის წესრიგი:

1. **მოხსენება საერთაშორისო და შინაური მდგომარეობის შესახებ—ამხ. სერგო ორჯონიკიძე.**
2. **ს. მ. უ. ს. მოხსენება—ამხ.** ჟუჟუნაშვილი.
3. **კომუნალური მეურნეობის განყოფილების მოხსენება—ივანოვ-კავკასიელი.**
4. **დამზღვევი კასის მოხსენება.**
5. **მოხსენება შრომის ხელფასის შესახებ—ამხ. მაჩაიძე.**
6. **მიმდინარე საქმეები.**

უპარტიოთა კონფერენციაზე არჩეული დელეგატები უნდა გამოცხადდენ რაიკომში ორშაბათიდან დილის 10 საათიდან დღის 2 საათამდე და 5—8 საათამდე.

მდივნის მოადგილე მელაძე.

— ა | წ. 11 ივნისს, საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომის მიერ მოწვეული იყო სამხედრო ორგანიზატორების თათბირი, რომელზედაც არ გამოცხადდენ შემდეგი უჯრედების წარმომადგენლები: სპილენძის ქარხანა, ხე-ტყის სახერხი ქარხანა, საქართველოს სახელმწიფო საპაიო ვაჭრობის ამხანაგობა, მუშკოოპი, ტრამვაი, ალექსანდრეს საავადმყოფო, „ავტოპრომტორგი“, სანიტარულ-ტეხნიკური განყოფილება, მექანიკური ქარხანა, ცეკავშირი, კინო-მუშაკების უჯრედი, სახელმწიფო ღვინის ტრესტი, მუშკოოპის ტრანსპორტი, მილიცია.

ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი აფრთხილებს ზემო-აღნიშნულ დაწესებულებათა უჯრედების მდივნებს და წინადადებას აძლევს გამოყონ სამხედრო ორგანიზატორები და გამოგზავნონ თათბირზე კვირას, 14 ივნისს, დილის 10 საათზე, რაიკომის ბინაზე.

მდივნის მოადგილე მელაძე.

— ს. ა. ლ. კ. კ. ცეკას საიდ. სასტ. განყოფილება იწვევს ამხ. რავაზ მონოსელიძეს, რათა დაუყოვნებლივ გამოცხადდენ ს. ა. ლ. კ. კ. ცეკას საიდ. სასტატისტიკო განყოფილებაში 15 ივნისი—1925 წ.

პროფესიული

— შაბათს, 13 ივნისს, მუშათა ცენტრალურ კლუბში (პლეხანოვის პრ. № 123) „ვოლხოვსტროის“ საამშენებლო განყოფილების გამგე ინჟინერი დანდალოვი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე:

„როგორ მიმდინარეობს „ვოლხოვსტროის“ მშენებლობა“.

ლექცია დასურათებული იქნება კინო-ლენტით.

დასაწყისი საღამოს 7 ნახ. საათზე.

შესვლა ინჟინერთა სექციის და პროფკავშირთა წევრებისათვის თავისუფალია.

განცხადებები

დები: ბარბარე კობიაშვილისა, ნინო გაგაუსი, ელენე ჩიჯავაძე და ძმები დეკანოზი იოსებ და დიმიტრი ჩიჯავაძეები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს საყვარელი ძმის

ივანეს

უდროოდ გარდაცვალებას, პანაშვიდი დღეს, 7 საათზე (სანაპირო ქ. № 3). დასაფლავების დღე იქნება გამოცხადებული

1—1 1628.

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: პატული (მატრონა), ბაბილინა, ძუკუ და მარიამი ხარებავეები, სიძეები: პეტრე ამაშუკელი და ესტატე ჯანჯღავა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა | წ. 9 ივნისს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი

ტასია ხარებავასი

დაკრძალვა დ. მარტვილში დღის 4 საათზე, 13 ივნისს.

1—1 1617.

ღრმად დამწუხრებულნი დედა სოფიო, ძმა გიორგი, და მარიამი, ძმები კონსტანტინე და დავითი ხაბურზანიები და ბებია პასიკო იესეს ასული კვინიხიძისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 10 ივნისს ქ. ქუთაისში გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

თამარ გიორგის ასული ხაბურზანია

რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას, 14 ივნისს, ნაშუადღევის 5 საათზე ქ. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე საკ. ბინიდან მე-3 ინტერნაციონალის ქუჩის I ჩიხი № 9, პანაშვიდი ყოველ დღე 6 საათზე.

1—1 1631.

აკაკი იოსების ძე ხარაიძე, თავის პატარა შვილით ჟორჟიკათი, დედით, ძმებით, რძლებით და ძმისწულებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს უდროოთ დაკარგულის პირველი ძვირფასი ცოლის, მეორე დედიკოსი, მესამენი რძლის და მეოთხენი ბიცოლასი

მარიამ გრიგოლის ასული ხარაიძისას

რომლის გამოსვენება მოხდება კვირას, 14 ივნისს, საკუთარი ბინიდან: კირკის ქ. № 17 შუადღის 12 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.
1—1 1621.

გრიგოლ ილიას ძე და ელენე იოსების ასული ბოსტალანიშვილები, პელაგია და ქსენია ზურაბიშვილები, ანნა და ნიკოლოზ ივანჩენკოები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს: პირველნი საყვარელი შვილის, მეორენი დის და მესამე ცოლის დის

მარიამ გრიგოლის ასულის ხარაიძის

უდროოთ გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს, 13 ივნისს, შვიდ საათზე და გამოსვენება თავის ბინიდან, კირკის 17, კვირას, 14 ივნისს, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე შუადღის 12 საათზე.
1—1 1621.

მეუღლე თამარ ალექსანდრეს ასული და შვილები—რუსუდან, შოთა და ოთარ ჩიჯავაძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს ძვირფასი მეუღლის და მამის

ივანე თეოფანეს ძის ჩიჯავაძის

გარდაცვალებას.
პანაშვიდი დღეს საღამოს 7 საათზე (სანაპირო № 3), დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1—1 1628.

სიძეები დეკანოზ ვასილ კარბელაშვილი და კონსტანტინე გაგუა აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს ძვირფასი ცოლის ძმის

ივანე თეოფანეს ძის ჩიჯავაძის

უდროოდ გარდაცვალებას.
პანაშვიდი დღეს, 7 საათზე (სანაპირო ქ. № 3).
1—1 1628.

დედა—ნატალია, დები—ქსენია და თამარი და ძმა ალექსანდრე აუწყებენ ნათესავებს და ამხანაგ-მეგობრებს, რომ კვირას, ივნისის 14, ქ. ბათომში შესდგება სამოქალაქო პანაშვიდი

ივანე (ვანიჩკა) გერასიმის ძე ჟოჟიკაშვილის

გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად, მიცვალებულის საფლავზე. 1—1 1625.

ა. | წ. ივნისის 14, დღით, კვირას თეირანში (სპარსეთში) შესდგება ძეგლის კურთხევა გარდაცვალებულის

მინადორა ეგნატეს ასული ხოშტარიასი

წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლათ შესრულებულ იქნება კათალიკოს ამბროსის მიერ იმავე დღეს თბილისის ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ-მეგობრებს განსვენებულის მაზლი გიორგი და რძალი ანასტასია ხოშტარიები შვილებით.
პანაშვიდი დაიწყება 12 საათზე.
№ 1637—1—1

უზომოთ შეწუხებული ანიჩკა ჭყონია ქმარ-შვილით აუწყებს თავის მეგობრებს კვირას, 14 ივნისს, იქნება გადახდილი წლის პანაშვიდი დაუვიწყარი რძლის

მინადორა ეგნატეს ასული ხოშტარიასი

იმავე დღეს 12 საათზე თბილისში ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. № 1632—1—1

დაუსრულებელ მწუხარებაში მყოფი გულდათუთქული, ტანჯული დედა ელისაბედ მანუჩარის ასული თურქიასი, თავისი ქალიშვილებით, ვაჟიშვილებით, რძლით, სიძეებით და შვილისშვილებით აუწყებს თავის ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ კვირას 14 ივნისს, სრულდება ერთი წელი, რაც მათ დაკარგეს მათი სიამაყე, ძვირფასი და მუდამ დაუვიწყარი

მინადორა ეგნატეს ასული ხოშტარიასი

ამისათვის აღნიშნულ დღეს ქ. ფოთში, სობოროში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი დილის 10—12 საათზე.
№ 1606—2—2

განცხადება ამიერ-კავკასიის ავტო-სატრანსპორტო სავაჭრო-სამრეწველო სააქციონერო საზოგადოების „ზაკავტოპრომტორგ“-ის რეგისტრაციის შესახებ

1925 წლის 4 ივნისს ა. კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ, თანახმად ა. კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა № 16 1925 წლის 2 აპრილის თარიღით, შეტანილია სავაჭრო რეესტრის პირველი ცენტრალური ნაწილის განყოფში № 1 ქვეშ (პირველი ნომრის ქვეშ) ამიერკავკასიის ავტო-სატრანსპორტო სავაჭრო-სამრეწველო სააქციონერო საზოგადოება „ზაკავტოპრომტორგ“-ი, რომლის წესდება დამტკიცებულია ა. კ. ს. ფ. ს. რ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს მიერ 1924 წლის 22 მაისის თარიღით.

საზოგადოების გამგეობის მუდმივი ადგილი—ქ. თბილისი, აღმასკომის (ყ. სოლოლაკის ქ.) ქუჩა № 1.

საზოგადოების მიზანია—სამგზავრო და სატვირთო ავტო-სატრანსპორტო მიმოსვლის მოწყობა, საექსპედიციო-საკომისიო ოპერაციები, რომლებიც დაკავშირებულია ავტო-ტრანსპორტთან, ავტო-ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის, ტრაქტორების და სხვათა შესყიდვა და გაყიდვა, ტეხნიკური ხარჯთაღრიცხვების და პროექტების შედგენა საავტომობილო-სატრაქტორო საქმის საკითხებზე.

მოღვაწეობის რაიონი—ა. კ. ს. ფ. ს. რ.

ძირითადი კაპიტალი—ერთი მილიონი (1,000,000) მანეთი

ფაქტიურათ ძირითადი კაპიტალი შეგროვებულია შვიდას ოცდათექვსმეტი ათას ექვსას ოცდახუთმეტი მანეთის 55 კაპ. (736.635 მან. 55 კაპ.) რაოდენობით.

ა.-კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საქმეთა მმართველი ეირანოვი.
ნ. 1305. 1—1

კინო აპოლო

ორშაბათ, 15 ივნისიდან

სეზონის საუკეთესო სურათი

აფრიკის ასული

5 სერიად. 1 და 2 სერია ერთად.

ნის. 1300. 1—1

რეზინის მრეწველობის სახელმწიფო ტრესტი „რეზინოტრესტ“

გამგეობა: მოსკოვი, მაროსეიკა, № 12, თბილისის სავაჭრო განყოფილება: სოლოლაკის ქ. № 4.

საწყობებში დიდი რაოდენობით:
კალოშები
შინები ავტომობილების, მოტოციკლეტების, ეტლების,
ლვედები.
სახელურები.
ტეხნიკური რეზინი,
ქირურგია, „სოსკები“, „ნაბოიკები“, ბურთები, სათამაშოები და სხვ.
რეზინის და აზბესტის ნაწარმოები.

წერილობითი დაკვეთები არ მიიღება ბეების დაუტოვებლად

კოოპერატივებს და სახელმწიფო დაწესებულებებს ეძლევათ შეღავათი. 1-1 ნ. 1310

შრომის მეცნიერული ორგანიზაციის უჯრედთა კონფერენცია

კვირას, 14 ივნისს, დილის 10 საათზე, ქალაქის აღმასკომის შენობაში შესდგება

შრომის მეცნიერული ორგანიზაციის უჯრედთა კონფერენცია

საწარმოო კომისიების მდივნებთან ერთად

დღის წესრიგი:
1) ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან არსებულ შრომის მეცნიერულ ორგანიზაციის ბიუროს მოხსენება საქართველოში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის მოძრაობის შესახებ,
2) საქართველოს პროფსაბჭოს მოხსენება საწარმოო თათბირების შესახებ.
3) საკითხები შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ლიგის ქვედა საფეხურის ორგანიზაციების შესახებ
4) შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ლიგის თბილისის ორგანიზაციის ჩამოყალიბება.

კონფერენციაზე მოხდება საქმის წარმოების რაციონალიზაციის კურსების გამოშვება. განზრახულია კონფერენცია გადაღებულ იქნეს კინო-ქრონიკისათვის.

კონფერენციაზე შესვლა თავისუფალია.

ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან არსებული შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ბიურო. ნის. 1308. 1—1

ხელისმომწერლებმა ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართონ

„კომუნისტი“-ს მთავარ კანტორას

რუსთაველის პრ. № 24. ტელეფონი № 10—49.

ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველოსთან არსებულ საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის დადგენილება

1925 წ. 4 ივნისი.
(ოქმი № 7—4 | 9)

I.

ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე

ჩასაყრელი ტვირთების ტომრების შენახვისათვის გამოსაღების დაწესების შესახებ, შეფარდებით სატარიფო განკარგულებასთან № 2996, რომელიც გამოქვეყნებული იყო ტარიფების კრებულის № 231-ში წ.წ. 2 დეკემბრის თარიღით.

იმ ტომრების შენახვისათვის, რომლებშიაც ჩაყრილი იქნება მიმღების მიერ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურებზე მოსული ფხვნილი ტვირთები, ორი კვირის განმავლობაში უფასოთ შენახვის შემდეგ, გადახდილი უნდა იქნეს გამოსაღები იმ გამოსაღების ფარგლებში, რომელთა გადახდა საჭიროა სადგურზე მოსულ ყოველგვარი ტვირთების შენახვისათვის; ამ გამოსაღების რაოდენობა აღნიშნულია მუხ. მე-2, განაყოფი მე-6, მუხ. 29 ნაწ. 1 ტარიფ. კრ. (სატ. სახელ. № 16).

ამასთანავე: 1) აღრიცხვის დროს მხედველობაში მიღებული იქნება ტომრების ნამდვილი წონა, მაგრამ არა უმეტეს 1,2 კილოგრამისა ერთ ტომარაზე; 2) იმ შემთხვევაში, თუ ტომრების მეპატრონე უარს იტყვის გაგზავნოს რკინის გზით ტვირთები ამ ტომრებში, მაშინ მათი შენახვისათვის გამოსაღები გადახდილი უნდა იქნეს შესანახავათ მათი ფაქტიური მიღების მომენტიდან ორი კვირის განმავლობაში უფასოთ შენახვის აღრიცხვის გარეშე და 3) რკინის გზა კისრულობს პასუხისმგებლობას შესანახავათ მიბარებულ ტომრების გაფუჭებისა და გაყიდვისათვის.

II.

შემცირებული შეღავათიანი ტარიფის დაწესება

რკინის-გზის დამზღვევი კასის იმ საალმშენებლო მასალების გადაზიდვაზე, რომლებიც გადააქვთ სანატორიუმის ასაგებათ ა | კ. რკ. გზ. სად. ლიბანში—0,57 კაპ. რაოდენობით ტონა-კილომეტრზე.

რკინის-გზის დამზღვევი კასის იმ საალმშენებლო მასალების გადაზიდვაზე, რომლებიც გადააქვთ სად. ლიბანში სანატორიუმის ასაგებათ, დაწესებული იქნეს შემცირებული შეღავათიანი ტარიფი 0,57 კაპ. რაოდენობით ტონა-კილომეტრზე ამიერ-კავკასიის რკინის გზების ყველა სადგურებიდან, გარდა მოსაზღვრე და სანავთსადგურო სადგურებისა, სად. ლიბანამდე.

III.

გაუქმება ადგილობრივი ტარიფებისა

ამიერ-კავკასიის რკინის-გზებზე № 4 (04) ძირტკბილას გადაზიდვაზე და № 7 (04) მუშების მგზავრობაზე სად. ბაქო-სამგზავროდან სად. საბუნჩამდე.

ადგილობრივი ტარიფები ამიერ-კავკასიის რკინის-გზებზე № 4 (04) ძირტკბილას გადაზიდვაზე, რომლებიც გამოქვეყნებული იყო ტარ. კრებ. № 131 სატარიფო № 1155 ქვეშ, და № 7 (04) მუშების მგზავრობაზე სად. ბაქო-სამგზავროდან სად. საბუნჩამდე და უკან, რომლებიც გამოქვეყნებილი იყო № 126 ტარ. კრებ. სატარიფო № 1096 ქვეშ, გაუქმებულათ ჩაითვალოს.

ეს დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნებიდან შვიდი დღის გასვლის შემდეგ, გარდა ამა დადგენილების 1-ლი მუხლისა, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს გამოქვეყნებიდან 30 დღის გასვლის შემდეგ.

ა | კ. რკ. გზ. სამმართველოსთან არსებულ საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის თავმჯდომარის მოადგილე მამედბეკოვი.

ა | კ. რკ. გზ. სამმართველოსთან არსებულ საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის საქმეთა მმართველი შახბუდაგოვი.

1—1 ნ. 1307

ქ. თბილისის მე-4 რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი

აცხადებს, რომ 18 ივნისს, დღის 12 საათზე, აბრამ ოვანეზოვის ბინაზე, ნიკოლოზის ქ., სახლი № 38, მეორე საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ძმ. გრიგოლ და აბრამ იავიჩების შემდეგი ნივთები, რომლებიც შეფასებულია 75 მანეთად: ელექტრონის „სჩოტჩიკი“, ბუფეტის შკაფი, თუჯის პლიტა და სხვა.

სასამართლოს დადგენილების აღმასრულებელი პოტიომკოვსკი.
1—1 1620

ქ. თბილისის მეოთხე რაიონის სახალხო სასამართლოს სასამართლო აღმასრულებელი

აცხადებს, რომ 20 ივნისს, დილის 9 საათზე, № 4 სახლის ეზოში, ტურგენევის ქუჩაზე, გაიყიდება პირველი საჯარო ვაჭრობით [illegible] შალი ქალების პალტოსათვის და კაბისათვის, ქალის ოქროს საათი და სამაჯური, 11 ვერცხლის კოვზი (ჩაის), რომლებიც [illegible] იონისიანცის ვალში და შეფასებულია გასასყიდათ 260 მანეთად.
1629 სასამართლოს აღმასრულებელი: პოტიომკოვსკი.

საქართველოს ს. მ. უ. ს. საწონთა სახელმწიფო ფაბრიკა (Госвес)

ა ც ხ ა დ ე ბ ს

საჯარო ვაჭრობას

დახურული ხის საბძლის ასაგებად ზომით 6×3,82× 1,40 საჟ. მოიჯარადრის მასალებიდან.

წარმოებებს, არტელებს და კერძო პირებს, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ საჯარო ვაჭრობაში, ვსთხოვთ გაეცნონ საჯარო ვაჭრობის პირობებს და დაათვალიერონ საბძლის ასაგები ადგილი საქართველოს ს. მ. უ. ს. „სახწონაში“, პლეხანოვის პრ. № 117, ყოველდღე დილის 9 საათიდან დღის 1 საათამდე.
1—1 ნ. 1306 გამგეობა.

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ’არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

წერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.
9205 25—10

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

შინაგან და ქალთა ავადმყოფობანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 საათამდე. **სომხის ბაზარი № 3.**
№ 202.

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი). გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის-სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ე ქ ი მ ი

ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი: ქალების და ბავშვების 5—6 ს. **მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 1** შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან.

ექიმი დ. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული

(მწვავე და ქრონიკური ტრიპერი), სიფილისი.
მიღება დილის 8-დან 11-დე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.
ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან. 284

ექიმი მ. ა. ლუკოვსკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.
საპიორის ქუჩა № 35. ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.

ექიმი ი. დ. თოფურიძე

კალინინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33.
იღებს ავადმყოფებს
კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

ე ქ ი მ ი

გ. მ. ფხალაძე

კანისა და ვენერიული სნეულ.
სიფილისი (606—914)
მიღება: კაც. 7—8 ს. დილ. 7—8 ს. საღ.
ქალების 6—7 ს. საღ.
მოსკოვის ქ. № 4.
25—13 № 1432

ექიმი გ. გ. მეგრაბიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გასული ტუბერკულიოზის. სპეცკურნალობა მალიარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.
მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23. 1246

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიანი-თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

ექიმი ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მ ი ღ ე ბ ა: დილის 9—11 საათამდე საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.
№ 3208

ექიმი მ. ო. ზანდუკელი

დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ვენერიულ ავადმყ. ლენინის (ოლღას ქ. 49).
ტელ. 4—82 საღამოს 7—8 საათ. ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი,
ნ. 1346

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.
მიღება საღამოს 5—7 საათამდე. ბებუთოვის ქ № 38.

წყნეთის აგარაკი

პეტრე გრიგოლის ძე ბებუთოვის აგარაკში ქირავდება ოთახები საზაფხულო სეზონისათვის.

სრული სიმშვიდე და ყოველგვარი მოწყობილობა.

ბაღი, წყალი.

ცნობების მიღება შეიძლება იქვე ან ახალ-ბებუთოვის ქ. № 9. ვოიცევაიასთან. ნის. 1280. 2—2

დავკარგე პირადი აღრიცხვის წიგნაკი № 2691 რაჟდენ გიორგის ძე სვანიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1619 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა მარო ბეროზაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1633 1—1

დავკარგე მოწმობა ლაშ-ღელეს ოთხკლასიან სასწავლებლის დამთავრების № 24 გიორგი ნიკოლოზის ძე (ჩიტოს ძე) მაჭავარიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1.618 1—1

დავკარგე ა. ლ. კ. კ. მთლიანი ბილეთი № 15084 ენუქი მიხეილის ძე ოჩიგავას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1624 1—1

დავკარგე პირადი წიგნაკი № 352, პირადობის მოწ. № 244 და მეტრიკული ამონაწერი სილიბისტრო იოსების ძე სირაძეს სახელზე. 1623 1—1

დავკარგე საარიცხვო ბარათი № 2662 გრიგოლ ილიას ძე ლოლობერიძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1.622 1—1

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 186 შაქრო მუჯირის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1.630 1—1

დავკარგე აღრიცხვის მოწმობა № 2716, მეტრიკული ამონაწერი და ჯვრის წერის მოწმობა, პავლე ი. ბერაძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1 636 1—1

დავკარგე კომკავშირის საწევრო წიგნაკი № 14—48 ივანე სპარსიაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1634 1—1

დამტკიცებულია ა.-კ. სახ. კომ. საბჭოს მიერ 25 წ. (ოქ. № 38).

მეტრიულ საზომ-საწონების ფასების ნიხრი სახმეტრის ფასებთან შეფარდებით

საზომ-საწონთა დასახელება	გასაყიდი ღირებულება სინჯად-დადებით
სასწორ-საწონები	
1. ბრინჯაოს ზეძირკვლიანი სხვადასხვა წონადები: 1, 2, 5, 5, 10, 20, 20, 50, 100, 200, 200, 1000 გრ. წონადობის	12 მ. 70 კ.
2. ბრინჯაოს ზეძირკვლიანი სხვადასხვა წონადები: 1, 2, 2, 5, 10, 20, 20, 50, 100, 200, 200, 500 გრ. წონად.	9 მ. —
3. თუჯის სხვადასხვა წონადები: 1, 2, 2, 5, 10, 20 კილოგრამის წონადობის	33 მ. 90 კ.
4. თუჯის გირები: 0,5, 1, 2, 2, 5 კილოგრ.	11 მ. 50 კ.
5. თუჯის გირები: 1, 2, 2, 5 კილოგრ.	10 მ. 50 კ.
6. ცალკე თუჯის გირები:	
0,5 კილოგრ:	— 90 კ.
1 "	1 მ. 30 კ.
2 "	2 მ. 30 კ.
5 "	4 მ. 60 კ.
10 "	8 მ. 20 კ.
20 კილოგრამის წონადობის	15 მ. 20 კ.
7. თუჯის გირები არასწორუღლოვანი სასწორებისათვის.	
ა) უღლის შეფარდება 0,01 — ნომინალური წონა / ნამდვილი წონა	
10 კგ. — 100 გრ.	— 70 კ.
20 " — 200 "	— 90 კ.
50 " — 500 "	1 მ. 20 კ.
100 " — 1 კგ.	1 მ. 70 კ.
200 " — 2 "	3 მ. — კ.
500 " — 5 "	5 მ. 80 კ.
ბ) უღლის შეფარდება 0,02 — ნომინ. წონა / ნამდვილი წონა	
10 კგ. — 200 გრ.	2 მ. — კ.
20 " — 400 "	2 მ. 50 კ.
50 " — 1 კგ.	4 მ. 40 კ.
100 " — 2 "	7 მ. 60 კ.
200 " — 4 "	11 მ. 30 კ.
გ) უღლის შეფარდება 0,005 — ნომინ. წონა / ნამდვილი წონა	
10 კგ. — 50 გრ.	1 მ. 10 კ.
20 " — 100 "	1 მ. 30 კ.
50 " — 250 "	2 მ. 20 კ.
100 " — 500 "	2 მ. 70 კ.
200 " — 1 კგ.	4 მ. 40 კ.
500 " — 2,5 "	13 მ. 10 კ.
დ) უღლის შეფარდება 0,002 — ნომინ. წონა / ნამდვილი წონა	
50 კგ. — 100 გრ.	1 მ. 30 კ.
100 " — 200 "	2 მ. —
200 " — 400 "	2 მ. 50 კ.
500 " — 1 კგ.	4 მ. 40 კ.
1,000 " — 2 "	7 მ. 60 კ.
2,000 " — 4 "	11 მ. 30 კ.
ე) უღლის შეფარდება ერთი მეათასედი — ნომინ. წონა: / ნამდვ. წონა:	
50 კგ. — 50 გრ.	1 მ.
100 " — 100 "	1 მ. 30 კ.
200 " — 200 "	2 მ. —
500 " — 500 "	2 მ. 70 კ.
1,000 " — 1 კგ.	4 მ. 40 კ.
2,000 " — 2 "	7 მ. 60 კ.
5,000 " — 5 "	13 მ. 10 კ.
გრძივი საზომი	
8. მეტრი რკინის	1 მ. 80 კ.
9. ნახევარი მეტრი რკინის	1 მ. 20 კ.
10. მეტრი ხისა	1 მ. 60 კ.
11. ნახევარი მეტრი ხის	1 მ. —
საფანტ. სხეულის საწყაო	
12. თუნუქის მოთუთული საწყაო:	
20 ლიტრ. ზომის	7 მ. 20 კ.
10 "	5 მ. 70 კ.
5 "	4 მ. 40 კ.
2 "	2 მ. 60 კ.
1 "	2 მ. 10 კ.
სითხის საწყაო	
13. რკინის ტოლჩები	
2 ლიტ.	3 მ. 20 კ.
1 "	1 მ. 50 კ.
ნახ. "	1 მ. —
1 მეოთხ. "	— 70 კ.
14. სპილენძის ტოლჩები სრული კომპლექტი:	
ა) 10 და 5 ლიტრ.	53 მ. —
ბ) 1, ნახ., 1 მეოთხ., 1 მეათედი, 1 მეოცედი	12 მ. —
გ) 2, 1, ნახ.	16 მ. 50 კ.

შენიშვნა 1 და 2 მუხლისათვის:
ბრინჯაოს სხვადასხვა წონადები უნდა გაიყიდოს მხოლოდ კომპლექტობით.

შენიშვნა: მე-14 მუხლისათვის:
1. დასახელებული საგნების გაყიდვა სწარმოებს მხოლოდ კომპლექტობით,
2. კომპლექტი „ბ“ ღირს 11 მ. და ამაში არ შედის ერთი მეოცედი წონადი.

ამიერ-კავკასიის მთავარ ზომა-წონის სამმართველოს მეტრიულ განყოფილების გამგე ბუწაძე.
ნ. 1298 1—1

ტირაჟი—21 049

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, სამ. წულუკიძის ქ.